გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

60 თეთრი

№110 (1136) 2 – 3 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ექსკლუზიური ინტერვიუ პრეზიდენტის პოლიტიკურ მრჩეველთან

გვ. 3

ფიქრია ჩიხრაძე: „მარგველაშვილი ოპოზიციაში კი არ გადავიდა, მმართველი გუნდის წევრი არაა!“

რა აერთიანებს „რუსთავი 2“-ისა და „კავკასუს ონლაინის“ საქმეებს

გვ. 6

„ყარამანაშვილების სინდრომი“

„თვითმკვლელი“ მარიამის „შეტყობინება“ ანუ რატომ კლავს ღვთისმშობელი არდაბადებულ იესოს

ექსკლუზიური ინტერვიუ სკანდალურ მხატვართან

გვ. 16

რა ჯდება და შეიძლება თუ არა „თალიზში“ თმის გადანერგვა განვადებით

გვ. 13

რეკორდულის გარდა, წლევანდელი რთველი ყურძნის ხარისხიანი მოსავლითაც გამოირჩეოდა

143 000 ტონაზე მეტი გადამუშავებული ყურძენი და 102 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი — „რთველი 2015“ დასრულდა

„ამ სკანდალს სამი უჩინარი რეჟისორი ჰყავს და სამივეს ვინაობა ვიცი!“

ვინ მისცა 400 დოლარი, რატომაა ირმა ინაშვილზე ნაწყენი და იცნობს თუ არა ბიძინა ივანიშვილს ნინო ჯოლარკავა

გვ. 4–5

არა–ჩვეულებრივი ინტერვიუ

საგარეჯოსა და მარტვილის შუალედურ არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა გაიმარჯვეს

ცესკო-ს სპიკერის, ანა მიქელაძის განაცხადებით, საგარეჯოშიც და მარტვილშიც ყველა უბანი დათვლილია.

მისივე თქმით, საგარეჯოში 20:00 საათისთვის აქტივობამ შეადგინა 34.43%, მარტვილში კი — 39.99%. წინასწარი მონაცემებით, საგარეჯოში გაიმარჯვა თამარ ხიდაშელმა, რომელმაც 49.5% (7540 ხმა) მოაგროვა. ირმა ინაშვილს კი მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 45.83%-მა (6981 ხმა), ზურაბ ჯორბენაძე — 0.49% (75), მიხეილ ანდღულაძე — 1.81% (276), გიორგი დავითაია — 2.35%(358).

რაც შეეხება მარტვილს, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა სოსო დანელიამ მოაგროვა 72.54% (9620 ხმა), ხოლო ეთერ მეძველიამ 27.45% (3641 ხმა).

პატრიოტთა ალიანსი აცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა. ირმა ინაშვილმა „ობიექტივში“ ჩართვისას გაყალბებაზე პასუხისმგებლობა თავდაცვის მინისტრს, თინა ხიდაშელს დააკისრა და განაცხადა: **„ამ თინათინ ხიდაშელს მინდა ვუთხრა, რომელიც დროშებით დარბის, მაგ დროშებით წაბრძანდები“.**

ამავე ჩართვისას, ირმა ინაშვილი იორმუღალნოსაც შეეხო, სადაც, როგორც ითქვა, მხოლოდ 25 ხმა მიიღო: **„რაც შეეხება იორმუღანლოს, წარმოუდგენელია, რომ თორმეტივე უბანში მე წავაგე. დარღვეულია ბალანსი, მე 25 ხმა მაქვს, იმათ — 300. მარტო ერთ ქორწილში, სადაც ვიყავი, 500 კაცი ტაშს მიკრავდა, როგორ ავიღე იმ სოფელში 20 ხმა? ჩამოიყვანეს ზონდერები, ჩამოიყვანეს ბაქოდან სტუდენტები, ჩამოიყვანეს მარნეულიდან სრულიად უცხო ხალხი. მიდიოდა მასობრივი გაყალბება იორმუღანლოს საარჩევნო უბნებზე. რა გამოდის, რომ ჯარმა და აზერბაიჯანულმა სოფლებმა მოუგეს საგარეჯოელებს? თქვენ იცით, რა ხდება საგარეჯოში? ხალხი ფეხზე დგას, ტირის ხალხი. ყველა სოფელი ტირის და რატომ უნდა წაართვა ეს არჩევანი ამ ხალხს, რა დააშავა ამ ხალხმა? ამ ხელისუფლებას ვეუბნები: ეს არის თქვენი „ქართული ოცნება“? მოვითხოვ თავდაცვის მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებას არავის ეგონოს, რომ მარტო სასამართლო გზით ვიმოქმედებთ. რესპუბლიკური პარტია ეს არის ნაციონალური მოძრაობა-2 და მიხეილ სააკაშვილმა-2-მა მოგვიგო არჩევნები“.**

არჩევნების დღეს, გარემოს დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა განაცხადა: „პატრიოტთა ალიანსის მხრიდან ადგილი აქვს მუქარის ფაქტებს და პატრიოტთა ალიანსის წევრები შეიარაღებულებიც არიან, რაც შევატყობინეთ პოლიციას“.

ირმა ინაშვილის მხარდამჭერი, თარხან გასვიანი კი ირწმუნებოდა, რომ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის, თამარ ხიდაშელის ქმარმა სცემა.

საგარეჯოს არჩევნების ყველაზე პიკანტური დეტალი კი, როგორც პატრიოტებმა გაახმაურეს, საცვლებიდან ამოღებული ბიულეტენები იყო. ინციდენტი სოფელ გიორგიწმინდაში, მე-20 საარჩევნო უბანზე მოხდა

„ზოგადი დარღვევები, რაც გამოიკვეთა, ეს არის ზედმეტი ბიულეტენები, რომელიც დამალული იყო და შემდეგ აღმოაჩინეს მე-5 უბანზე, ჯიბიდან, ჩანთიდან თუ საცვლიდან ამოიღო უბნის ხელმძღვანელმა“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

შეგახსენებთ: 31 ოქტომბერს, პარლამენტის შუალედური არჩევნები ორ ოლქში — საგარეჯოსა და მარტვილში ჩატარდა.

„ვერსიანიუსი“

ირაკლი ღარიბაშვილი რუს ხალხს სამძიმარს უცხადებს

„მწუხარებას გამოვთქვამ რუსული სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის გამო, რომელსაც 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გულწრფელად ვუსამძიმრებ რუს ხალხს ამ დიდ ტრაგედიას, თანავუგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს და ახლობლებს“, — ნათქვამია პრემიერის სამძიმრის წერილში.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა. ლაინერზე „ირბუს-321“ ეკიპაჟის შვიდი წევრი და 217 მგზავრი იმყოფებოდა, აქედან 17 ბავშვი.

გავრცელებული ცნობით, ავიაკომპანია „კოგალიმავიას“ ლაინერი ეგვიპტეში, სინაის ნახევარკუნძულზე ჩამოვარდა. ლაინერი, რომელიც შარმ ელ-შეიხი-სანკტ-პეტერბურგის რეისს ასრულებდა, აფრენიდან დაახლოებით 23 წუთში რადარებიდან გაქრა. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეგვიპტეში რუსული სამგზავრო თვითმფრინავი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა ჩამოაგდეს.

„პია.გე“

სოზარ სუბარი: „ჩამოყალიბდეს სააკაშვილი, თუ არის გუბერნატორი, მიხედოს თავის გუბერნიას!“

ამის შესახებ დევნილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმადაც, სააკაშვილის თქმით, მოქალაქეობის ჩამორთმევით, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, მას არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მისცეს.

„ჩამოყალიბდეს სააკაშვილი, თუ არის უკრაინის მოქალაქე, თუ არის გუბერნატორი, მიხედოს თავის გუბერნიას. თუ უნდა საქართველოს არჩევნებში მონაწილეობა, არ უნდა მიეღო იმ ქვეყნის მოქალაქეობა, ჩამოსულიყო აქ, პასუხი გაეცა გამოძიების კითხვებზე და მიეღო არჩევნებში მონაწილეობა. მერე ნახავდა, სად არის მისი ადგილი და გადაწყვეტდა ქართველი ხალხი — მატროსოვზე, პრეზიდენტის, პრემიერის თუ სხვა სავარძელში. ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ არის მიღებული საქართველოში“, — განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურების დაწყებას, სუბარის თქმით, ის ერთი კვირის წინ კიევში იმყოფებოდა და ზუსტად იმ დღეებში მიიღო საქართველოს საელჩომ ოფიციალური პასუხი უკრაინის მთავრობისგან, რომ მიხეილ სააკაშვილი ნამდვილად არის უკრაინის მოქალაქე.

„მანამდე მოთხოვნა იყო დიდი ხნის გაგზავნილი, არაერთი შეხსენება იყო გაკეთებული, მაგრამ ოფიციალური პასუხი არ იყო მოსული. სანამ ოფიციალური პასუხი არ არსებობდა, მანამდე ყველამ ვიცოდით, რომ მას ჰქონდა უკრაინის მოქალაქეობა, მაგრამ ოფიციალური წარმოება უნდა დაიწყოს ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე და ბუნებრივია, ეს ვერ დაიწყებოდა“, — განაცხადა სუბარმა.

„ინტერპრესნიუსი“

დეფის მაღაზიაში სცემეს

ინციდენტი თბილისში, მწერლის სახლთან ახლოს მდებარე მაღაზიაში მოხდა.

დეფის თქმით, სავაჭრო ობიექტში გვიან ღამით, მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა.

მისივე მტკიცებით, დაპირისპირება ერთ-ერთ მოქალაქესთან მისი ნაწარმოების გამო დაიწყო, რასაც სიტყვიერი და შემდეგ უკვე ფიზიკური შეურაცხყოფა მოჰყვა.

თავად მწერალი მომხდარს მის მოქალაქეობრივ ხედვებს უკავშირებს და ამბობს, რომ მსგავსი აგრესიისკენ მოქალაქეებს უშუალოდ პრემიერმა მოუწოდა.

დეფის თქმითვე, ინციდენტში მონაწილე პირს საკადრისი პასუხი გასცა და საჭიროდ აღარ ჩათვალა, საპატულო პოლიციისთვის მიემართა.

„პია.გე“



აშშ-ში 6 ათას პატიმარს გაათავისუფლებენ

აშშ-ში, პატიმართა რაოდენობის შემცირების პროგრამის ფარგლებში, 6 ათას ადამიანს გაათავისუფლებენ. შესაბამის პროგრამას აშშ-ს იუსტიციის სამინისტრო ატარებს. საუბარია იმ პატიმრებზე, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის იხდიდნენ სასჯელს. ნაწილი სარეაბილიტაიო ცენტრებში მკურნალობის კურსს გაივლის.

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ამნისტია აშშ-ის ისტორიაში.

„ინტერპრესნიუსი“

19 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები სირიაში გარდამავალი მთავრობის შექმნაზე შეთანხმდნენ

ვენაში გამართულ მოლაპარაკებებზე, მხარეებმა 9-პუნქტიანი დოკუმენტი მიიღეს, რომლის მიხედვითაც, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სირიის მთელ ტერიტორიაზე და „ისლამური სახელმწიფო“ და გაერო-ს ექსტრემისტული ორგანიზაციების სიაში შეყვანილი სხვა დაჯგუფებები უნდა განადგურდეს.

სირიაში უნდა შენარჩუნდეს ერთიანი საერო სახელმწიფო, უნდა გააქტიურდეს კონფლიქტის დასრულებისკენ მიმართული ძალისხმევა. გარდა ამისა, ჩატარდება საერთაშორისო დონის შეხვედრა, რომელშიც ბაშარ ალ-ასადის მთავრობისა და ოპოზიციის წევრები მიიღებენ მონაწილეობას. ამ შეხვედრის შედეგად, უნდა შეიქმნას ახალი გარდამავალი მთავრობა, რომელიც ქვეყანას ახალ არჩევნებამდე უხელმძღვანელებს, რის შემდეგაც სირიაში ახალ კონსტიტუციას მიიღებენ. პოლიტიკურ პროცესში მონაწილე ქვეყნები სირიის მთელ ტერიტორიაზე მშვიდობიანი ზავის დადებას უზრუნველყოფენ, თუმცა „ისლამურ სახელმწიფოსთან“ სამშვიდობო შეთანხმება არ დაიდება.

როგორც აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ განაცხადა, მოსკოვისა და ვაშინგტონის პოზიცია ბაშარ ალ-ასადის მომავლის შესახებ კვლავ განსხვავებულია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, ასადის ბედი სირიელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

ვენაში გამართულ მოლაპარაკებებში გაერო-ს, ევროკავშირის, რუსეთის, აშშ-ს, გერმანიის, საფრანგეთის, ირანისა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მორიგი შეხვედრა ორ კვირაში გაიმართება.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს ახალგაზრდული ევროატლანტიკური კოალიცია საგანმანათლებლო კამპანიას იწყებს

ორგანიზატორების ინფორმაციით, კამპანია რეგიონებში ნატო-ს კვირეულის ფარგლებში გაიმართება. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებას ნატო-სა და ევროკავშირის და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ. ასევე, მისი მიზანია, გაიზარდოს პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა.

კამპანიის ფარგლებში კოალიციის წარმომადგენლები შეხვედრებს გამართავენ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კამპანიის დასასრულს კი გაიმართება ინტელექტუალური თამაშები. ამ ეტაპზე, მასშტაბური კამპანია მოიცავს ქვეყნის სამ რეგიონს: შიდა ქართლს, კახეთსა და იმერეთს.

პროექტის მხარდამჭერია ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში.

„ინტერპრესნიუსი“

ფიქრია ჩიხრაძე: „პრეზიდენტი ოპოზიციაში კი არ გადავიდა, მმართველი გუნდის წევრი არაა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

12 ოქტომბერს, პრეზიდენტის მრჩეველთა გუნდს, „ახალ მემარჯვენეებში“ 14-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ფიქრია ჩიხრაძე შეემატა, რომელმაც 17 ოქტომბერს, პარტიის გაფართოებულ სხდომაზე, თავმჯდომარის უფლებამოსილება მოიხსნა... როგორ აღმოჩნდა ოპოზიციური პარტიის ლიდერი პრეზიდენტთან, რატომ ვერ ბედავენ მისდამი საკუთარი დამოკიდებულების საჯაროდ აღიარებას „ოცნების“ წევრები, რას ნიშნავს მუდმივი თავდასხმები და ელის თუ არა იმპიჩმენტი პრეზიდენტს, როგორ აფასებს გვარამია-ბოკერია-სააკაშვილის სკანდალურ საუბრებს, „რუსთავი 2“-ის გარშემო დაანონსებულ გადატრიალებას და რა პარალელს ხედავს ახლანდელ და 2007 წელს არსებულ ვითარებას შორის? — „ვერსიის“ ამ და სხვა კითხვებს, ახალი პოსტიდან, ექსკლუზიურ ინტერვიუში ფიქრია ჩიხრაძე პასუხობს.

„სააკაშვილმა საქმე, პირველ რიგში, „რუსთავი 2“-ს გაუფუჭა“

— ქალბატონო ფიქრია, ამ დღეების მთავარი თემა ექსპრეზიდენტსა და ბოკერია-გვარამიას სკანდალური ჩანაწერებია. როგორ ფიქრობთ, ეს ხელისუფლებისთვის მორიგი ნაციონალური ხაფანგია თუ საქმე გადატრიალების რეალურ მცდელობასთან გვაქვს?

— ბუნებრივია, პირველად ძალიან მძიმე რეაქცია მქონდა, მაგრამ მერე ყველაფერი ის ამოტივტივდა, რაც 2007 წელს ხდებოდა: იყო ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც ჰქონდა ბევრი ფული, პოლიტიკური მიზანი და ძლიერი ტელევიზია „იმედი“; ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, ოპოზიცია აქციებს მართავდა და ყველაფერი ეს ნაციონალებმა გადატრიალების ერთიან სცენარად აქციეს — პატარკაციშვილის წინააღმდეგ, რაღაც ჩანაწერები დაიდო და ა.შ., რასაც ჯერ „იმედის“ მხეცურად დარბევა და დახურვა მოჰყვა, მერე კი — მეპატრონის გამოცვლა... ყველაფერ ამას ქვეყანაში დიდი ვნებათაღელვა და საერთაშორისო საზოგადოების მძიმე შეფასებები მოჰყვა.

— მაშინ სააკაშვილმა ხელისუფლებაში ყოფნა კიდევ ერთხელ გაიხანგრძლივა — გადადგა და ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. რაკიღა პარალელს ავლებთ, „ოცნებაც“ ამ გზით ხომ არ მიდის?

— მაშინ სააკაშვილმა გადადგომით, ეს მძაფრი ვნებათაღელვა გააჩერა და 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში ვადა, მძიმე მეთოდებით, ნამდვილად გაიხანგრძლივა. არ ვიცი, ეს ბედის ირონიაა თუ არა, მაგრამ ახლა, ოდესის მერის არჩევნების დროს, დაახლოებით, იგივე მოხდა — სააკაშვილის მოწინააღმდეგე კანდიდატს პროცენტები აშკარად წაუმატეს და იმ სქემის წინააღმდეგ უწევს ბრძოლა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას ძალიან მოსწონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერში სააკაშვილი ძალიან მძიმე აზრებს გამოთქვას და ბოკერია-გვარამია ზანტად ეთანხმებიან, უფრო სწორად, ჩანს, რომ მისგან ინფორმაცია მიიღეს, ვფიქრობ, სახელმწიფო გადატრიალების სცენარზე სასაუბროდ მხოლოდ ეს არ კმარა. რაც შეეხება არხის დაცვის თემას, ისინი დიდი ხანია, ამაზე ლაპარაკობენ. როცა პოლიტიკურ პარტიებთან, მათ შორის ნაციონალებთან, ამ თემაზე კონსულტაციები დავიწყეთ, ამ საფრთხეებზეც მივუთითეთ.

— კონკრეტულად, რა საფრთხეებზე მიუთითეთ?

— ვუთხარით, რომ არსებობს ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე, მათ შორის, მათივე აქტივისტების მხრიდან, განსხვავებული მოსაზრების მქონე სხვადასხვა ჯგუფს შორის. ოპოზიცია კი ერთადერთს ამბობდა, ჩვენთვის წითელ ხაზად „რუსთავი 2“ რჩება, თუკი მოსამართლე დაუყოვნებლივ გამოიტანს განაჩენს, რისი აუცილებლობაც არ არსებობსო.

— „იმედში“ სააკაშვილი ხელისუფლების ძალადობრივი შეჭრა გაიხსენეთ. თქვენი აზრით, ამაზე „ოცნებაც“ წავა?

— ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ეს განცხადებები სააკაშვილის აღქმაა, ამ ვითარებაში თვითონ როგორ მოიქცეოდა. იმედია, დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილივით არ მოიქცევა! ნებისმიერ შემთხვევაში, რაღაც ექსტრემალურ სცენარს ელოდნენ, რომლის განმუხტვაშიც პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ დაწყებულმა კონსულტაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მთელი ამ ხნის განმავლობაში პირდაპირი მოწოდებები ისმოდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, პირდაპირ ვერდიქტებს აცხადებდნენ და ბოლოს, სასამართლოზე ზეწოლის ბრალდებით, როცა თქვა, მოსამართლეს შეუძლია, არ აჩქარდესო, მაინც პრეზიდენტს მოედავნენ.

— პრეზიდენტის ფრაზა, მოსამართლემ ხისტი გადაწყვეტილება არ მიიღოსო, „ოცნებაში“ ასე გაიგეს — არ მიიღოს გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგო.

— ასე ნამდვილად არ ყოფილა, გიორგი მარგველაშვილს სასამართლოს წინააღმდეგ ერთი სიტყვაც ვერ დააცდენინეს. როცა „რუსთავი 2“-ის ეთერში იჯდა, ვგრძნობდი, როგორ არ მოსწონდა ჟურნალისტს, პრეზიდენტი სასამართლოს რომ არ აკრიტიკებდა. რაც შეეხება ექსპრეზიდენტ სააკაშვილს, რომლის მეთოდებიც ყველას კარგად გვახსოვს, დღეს ჩვენი პარტნიორი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელია და ამიტომ, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებს, ბევრად ფრთხილად უნდა იყოს, თან ამით, განწყობისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით, საქმე, პირველ რიგში, „რუსთავი 2“-ს გაუფუჭა, თუმცა პოლიტიკურმა პროცესებმა სამართლებრივზე გავლენა არ უნდა იქონიოს.

— რა ინფორმაცია ჰქონდა პრეზიდენტ მარგველაშვილს, როცა განცხადება კონსტიტუციური წესრიგის შესაძლო დარღვევაზე გააკეთა?

— პრეზიდენტმა განცხადება, რომ ქვეყანაში დაძაბულობის ნიშნები არსებობს, ბევრ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთდა — იყო მოწოდებები, ოფისებზე თავდასხმისა და სამართალდამცავი ორგანოების პასიურობის ფაქტები, ე.წ. კასრების ამაზრზენი კადრების ხელახლა დატრიალება და საჯარო ჩვენებების მოწყობა, რაც, ბუნებრივია, ადამიანებში აგრესიას იწვევს და ფეთქებადსაშიშ ვითარებას ქმნის. ამას მოჰყვა პრემიერის გამოსვლა მთავრობის სხდომაზე, რაც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და თითქოს, ძალადობრივი ქმედებების წახალისებისკენ იყო მიმართული. სწორედ ამან განაპირობა, რომ კონსულტაციების რეჟიმი ვითხოვეთ — არ გვინდოდა, რაღაც ისეთი მომხდარიყო, რაც საფრთხეს კონსტიტუციურ წესრიგს შეუქმნიდა. ამ ფრაზამ ყური ბევრს მოსჭრა, მაგრამ რეალურად, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევაა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები, სამართალდამცავები ან ჩვეულებრივი მოქალაქეები სამართლებრივი სივრციდან გადიან, ეს კი, ფაქტობრივად, ყველამ გააკეთა: პოლიცია ოფისების დარბევაზე არ რეაგირებდა, თანამდებობის პირები თავად უჩვენებდნენ კადრებს, მოქალაქეები კი ფიზიკური დაპირისპირებისთვის იყვნენ მზად, ამიტომ პრეზიდენტის ინიციატივა ლოგიკური იყო, „ოცნებას“ კი ამაზე ძალიან უცნაური რეაქცია ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ 3 დღის მერე თავად გამოაცხადა გადატრიალების მცდელობა და 315-ე მუხლით საქმეც აღძრა. მთელ სპექტრს პრეზიდენტის მიმართ რატომღაც ახირებული დამოკიდებულება აქვს და ეს ძალიან მაწუხებს, ამიტომ რაც აქ მოვედი, ყველას ვეუბნები, ყველაფერს გავაკეთებ, რომ სახელისუფლო გუნდსა და მთავრობასთან დიალოგი მოხერხდეს-მეთქი. სახელისუფლო შტოებს შორის დაპირისპირების გამღვივებლის როლს ნამდვილად არ შევასრულებ, თუმცა სამწუხაროდ, ძალიან მძიმე რეალობაა, რომლის დაძლევა უფრო და უფრო რთულდება.

— ანუ, ადასტურებთ, რომ პრეზიდენტი ოპოზიციაშია?

— ასე არ არის, პრეზიდენტი ოპოზიციაში კი არა, უბრალოდ, მმართველი გუნდის წევრი არაა! ამ დროს, მთელი პოლიტიკური სპექტრი ჯერ შევარდნაძეს მოუწოდებდა, მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე არ ყოფილიყო, მერე — სააკაშვილს, ნაციონალების თავმჯდომარეობაზე ეთქვა უარი. მერე ვცდილობდით, კონსტიტუციაშიც კი ჩაგვეწერა, რომ პრეზიდენტი, ფორმალურად მაინც, ზეპარტიული ყოფილიყო.

— დღეს მარგველაშვილი „ოცნების“ წევრი არაა, მაგრამ მაინც ყველა უკმაყოფილოა. რატომ?

— უკმაყოფილო მხოლოდ მმართველი გუნდია, დანარჩენი საზოგადოება კი — კმაყოფილი, ამიტომ იმედია, „ოცნება“, მალე მიხვდება, რომ უკეთესია, როცა მთელი სახელმწიფო ვერტიკალი ერთ კაცზე არაა აწყობილი. პირველად გამიჩნდა განცდა, რომ გიორგი მარგველაშვილი ჩემი პრეზიდენტიც იყო და აქ იმიტომ აღმოვჩნდი!

— ისე, ყველას აინტერესებს, რა გაკავშირებთ პრეზიდენტთან, რატომ გააკეთა არჩევანი მაინცდამაინც თქვენზე?

— ჩვენს შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა არ ყოფილა. ამას კარგი ნაცნობობა შეიძლება დავარქვათ, ორივე 80-იანელები ვართ, გიორგის სტუდენტური მოძრაობიდან ვიცნობ და ვფიქრობ, დღესაც იგივე იდეალები გვაქვს, რაც ეროვნული მოძრაობის დროს გვქონდა. ეს შეთავაზება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ამ ამბის გაჟღერებას კონსულტაციები უძღვოდა. ჯერ ერთი, მინდოდა, ზუსტად მცოდნოდა, რომ ჩვენს შორის ყველა ძირეულ საკითხში ღირებულებათა თანხვედრაა და ასეც არის, მეორეც — ჩემს თანაგუნდელებთანაც უნდა მესაუბრა. მათთან კონსულტაციის გარეშე, პრეზიდენტს თანხმობას ვერ ვეტყოდი. რომ არა მათი დადებითი განწყობა და თანადგომა, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდებოდა.

— ამ სიახლეს „ოცნებაში“ როგორ შეხვდნენ?

— პირადად ან მიწერ-მოწერის დროს ყველა ამბობს, რომ ჩემი აქ მოსვლა გაუხარდა და ეიმედება. უბრალოდ, ამის საჯაროდ გამოხატვა რატომღაც ერიდებათ. ყველანაირად ვეცდები, ეს უხერხულობა ყველას დავაძლევინო. გულწრფელად ვამბობ, ყველა რესურსს გამოვიყენებ, რომ ეს ურთიერთობები შედგეს.

— ერთი გუნდის მიერ მოყვანილ პრეზიდენტთან მრჩეველად ამ გუნდის ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის ხილვა ჩვენთვის უცხო ხილია ანუ, ფიქრია ჩიხრაძე „ოცნებაში“ გადავიდა თუ პრეზიდენტი ოპოზიციაში „გაფორმდა“?

— არც ერთია და არც მეორე. მე რომ „ოცნებაში“ არ გადავსულვარ, ეს ყველამ კარგად იცის, არც პრეზიდენტია „ოცნებაში“.

— არ ფიქრობთ, რომ განწყობას მთელ გუნდს ბიძინა ივანიშვილი კარნახობს, რომელიც თვეში ერთხელ მარგველაშვილზე მკვეთრი, აგრესიული განცხადებებით გამოდის? მაგალითად, ახლა აცხადებს, მისი ბიოგრაფია უნდა შევისწავლოო. ეს თავდასხმები რას ნიშნავს?

— ამ თემისადმი მარგველაშვილის დამოკიდებულებას პატივს ვცემ. იგი პერსონალურ საკითხებსა და ივანიშვილთან ურთიერთობაზე კომენტარს არ აკეთებს, ამიტომ როგორც მის მრჩეველი, მეც თავს შევიკავებ, თუმცა ძალიან ცუდია, თუკი ყველაფერი ეს ერთი ადამიანის კარნახით ხდება.

— გასაგებია, ეს მთელ რიგ საკანონმდებლო პროცედურებთანაა დაკავშირებული და ძალიან რთულია, მაგრამ მაინც გაჩნდა კითხვა: ელის თუ რა პრეზიდენტს იმპიჩმენტი და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები?

— არ მგონია, ეს დამოკიდებულება ამაზე მიუთითებდეს. ვინც ჩვენს კანონმდებლობას იცნობს, ძალიან გაუჭირდება ამის წარმოდგენა. ვფიქრობ, ეს პოლიტიკური სიტყვის მასაა. მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ გიორგი მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ პრეზიდენტიცაა, ახალი მემარჯვენეებისაც, თავისუფალი დემოკრატებისაც და ყველა სხვა პარტიის ამომრჩევლისაც.

— მწერალთა ნაწილის განცხადება ნახეთ, პრეზიდენტის გადადგომას რომ ითხოვენ?

— მიუხედავად იმისა, რომ შორეულ წარსულში მე და გურამ პეტრიაშვილი სხვადასხვა ბანაკში აღმოვჩნდით, ძალიან მიყვარს და მისდამი სიყვარული არ გამნელებია, ამიტომ ახლა გული დამწყდა, როცა ამ განცხადებაზე მისი ხელმოწერაც ვნახე. არ ვისურვებდი, ადამიანი, ვინც საკუთარ თავს მწერალს უწოდებენ, ამ ორკესტრირებულ დაპირისპირებაში ერთვებოდეს. ამიტომ, ამ განცხადებას მოქალაქეთა ერთი ჯგუფის პოზიციას დავარქმევდი, რომლის გამოხატვის უფლება ნამდვილად აქვთ.

— მაშინ იმ განცხადებაზე ვისაუბროთ, რაც ივანიშვილმა თქვენზე გააკეთა: ჩიხრაძე თანამედროვეობის ყველაზე დიდი პოლიტიკოსის მრჩევლად წავიდაო, თან თქვენი კონკურენტები სამი წელია, თურმე, გია ხუხაშვილი და ხათუნა ლაგაზიძე ყოფილან...

— კარგად მიცნობთ, მგონი, ბიძინა ივანიშვილიც უნდა მიცნობდეს და იცოდეს, რომ პოლიტიკაში ყოფნისას ლანძღვა და ცინიზმი არასდროს გამომიყენებია. ხშირად უთქვამთ, რაღაცებს მწარედ ამბობო, მაგრამ ეს ყოველთვის პოლიტიკურ ჩარჩოში იყო მოქცეული და პიროვნულ შეურაცხყოფაზე არასოდეს გადავსულვარ. რაც შეხება განცხადებას, ვინც ივანიშვილს კარგად იცნობს, მათ შორის თავად გია ხუხაშვილი და ლაგაზიძე, ამ განცხადებას მისი იუმორის გამოვლინებად აფასებენ. მე კი მათ შეფასებებს ვენდობი. რაც შეეხება ჩემს ურთიერთობებს ამ ადამიანებთან, ხათუნა ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარია, სტუდენტობის წლებიდან, გიას ცოტა ნაკლები ხანია ვიცნობ, მაგრამ ორივეს მოსაზრებები ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია.

— ანუ თქვენს შორის პრეზიდენტის მრჩევლობისთვის ბრძოლა არ გამართულა?

— არა, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, მე არ მიბრძოლია.

ვერსიანიუსი

ბრიტანეთის ელჩი: „სამწუხაროა იმის მოსმენა, რომ ზოგიერთი ადამიანი ძალადობას ლეგიტიმურად მიიჩნევს“

საქართველოში ბრიტანეთის ელჩი ალესანდრა ჰოლ ჰოლი „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებსა და მიხეილ სააკაშვილის სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ძალადობის და რევოლუციის დრო ახლა არ არის.

„ძალიან მიხარია, რომ პოლიტიკოსები ავრცელებენ განცხადებებს ბოლო დღეების განმავლობაში და მკაფიოდ განმარტავენ, რომ არ არსებობს განზრახვა, მოაწყონ რაიმე სახის ორგანიზებული, ძალადობრივი ინციდენტები. რა თქმა უნდა, გვესმის, რომ მედიის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებაა, რომლის მხრივაც საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და მესმის, რატომ არის ასეთი მაღალი ინტერესი „რუსთავი 2“-ის საქმის მიმართ, თუმცა ძალადობის სტიმულირებას, წაქეზებას არაფერი ამართლებს. როდესაც ჩანაწერების შესახებ გავიგე, ერთი მხრივ, შევწუხდი, რომ ადამიანების პირადი საუბრები საჯარო გახდა, მეორე მხრივ კი, მათი შინაარსი სამწუხაროა, რადგან დემოკრატიის მხრივ საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა და ახლა არ არის დრო ძალადობისთვის, რევოლუციისთვის. პროგრესისკენ მიმავალი გზა ისაა, რომელზეც საქართველო უკვე დგას და დემოკრატიას აშენებს“, — განაცხადა ალესანდრა ჰოლ ჰოლიმ.

„ინტერპრესნიუსი“

ვანო პავლიაშვილი

„ამ სკანდალს სამი უჩინარი რეჟისორი ჰყავს და სამივეს ვინაობა ვიცი!“

ვინ მისცა 400 დოლარი, რატომაა ირმა ინაშვილზე ნაწყენი, რატომ თვლის ვანო მერაბიშვილს შს კარგ მინისტრად და იცნობს თუ არა ბიძინა ივანიშვილს ნინო ჯღარკავა

...ამბავი, რომელსაც არა-ჩვეულებრივი ინტერვიუს დღევანდელი გმირი ყვება, პირველად ორი წლის წინ მოვისმინე. მაშინ ე.წ. ციხის კადრები გარკვეულწილად, დავიწყებული იყო, მაგრამ საუბარს მოყვა და, ნინო ჯღარკავამ გაიხსენა, თურქეთში ლადო ბედუკაძის ცოლ-შვილს როგორ გაყვა და ისიც აღნიშნა, რომ იმხანად, თავად ბედუკაძეს არ იცნობდა... გამოხდა ხანი და ახლახან, „სკანდალი აიწია“, ესაო, ისაო, ბედუკაძე-„ოცნების“ შუამავალი ჯღარკავა იყო, რომელსაც მოქმედმა მმართველმა გუნდმა, ამ შუამავლობასთან ერთად, პრემიერის სიმამრთან მეგობრობაც დაუფასა და ნავთობისა და გაზის კორპორაციის პრესსამსახურადაც დანიშნაო. ტელევიზიით ნაჩვენები ჯღარკავა-ბედუკაძის მიმოწერის ავთენტურობა, ცხადია, გამოძიებამ, რომელიც თავად ნინოს ინიციატივით დაიწყო, უნდა დაამტკიცოს, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობსო და, ყველაფერი რატომღაც „ფეიკი“ მგონია. მიუხედავად ამისა, შევეცადე, ნინო ჯღარკავასთვის ყველა ის კითხვა დამესვა, რომელიც ობივატელს გაუჩნდება... მაშ ასე, რატომ თვლის ვანო მერაბიშვილს შს კარგ მინისტრად, ნაწყენია თუ არა ირმა ინაშვილზე, რა მოხდა რეალურად და ვინაა სკანდალის უჩინარი რეჟისორი? — „ვერსია“ ჟურნალისტ ნინო ჯღარკავას არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს წარმოგიდგენთ, რომელიც ცალსახად აცხადებს, რომ საჯარო მოხელე არაა და, შესაბამისად, არც თმენის ვალდებულება აქვს.

— ნინო, ცნობადობა არასოდეს გაკლდა, მაგრამ ბოლო ორი კვირაა, შენივე სიტყვებით რომ ვთქვა, ტელევარსკვლავი გახდი...

— (იცინის) გააჩნია, რა კუთხით...

— კუთხესაც გააჩნია, მაგრამ ფაქტია: უკვე ბავშვმაც კი იცის, ვინაა ნინო ჯღარკავა... შენი აზრით, ე.წ. ციხის კადრები ისევ რატომ გააქტიურდა და ყველაფერ ამას შენი სახელი იმიტომ ხომ არ დაუკავშირდა, რომ პრემიერის ოჯახის მეგობარი ხარ ანუ ამით შეტევა ღარიბაშვილ-თამაზაშვილზე ხორციელდება?

— რა თქმა უნდა... ყველამ კარგად იცის, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც სამი წელია, მხოლოდ იმით არიან დაკავებულნი, პრემიერსა და მის ოჯახს — თამაზაშვილს, ჯანყარაშვილს შეურაცხყოფა მიაყენონ და ადამიანები დაჯერონ, რომ ყველაფერში თამაზი და ზვიადი არიან გარეულნი. დარწმუნებული ვარ, ეს აბსოლუტური სისულელეა და ისინი არაფერში ფიგურირებენ. ახლა კი, როცა „რუსთავი 2“-ის სასამართლო მიდის და ააგორეს, თავისუფალი სიტყვა დასაცავიაო, ქუჩაში ხალხის გამოყვანა გახდა აუცილებელი, მაგრამ ხალხი „რუსთავი 2“-ის კონცერტებზეც აღარ მიდის. მოკლედ, ვერ მოახერხეს, მოსახლეობა „რუსთავი 2“-თან დაეყენებინათ და 2012 წლის ე.წ. ციხის კადრები ამიტომაც „შემოატრიალეს“. ვერ ვიტყვი, რომ „ოცნებას“ არჩევნები თავის დროზე „ციხის კადრებმა“ მოაგებინა, მაგრამ გარკვეული აღშფოთება გამოიწვია...

— 2012 წელს, „ციხის კადრებში“ არ ფიგურირებდი...

— დიახ, მაშინ „ობიექტივის“ წამყვანი ვიყავი და, ჩემს გუნდთან ერთად, ყველამ იცის, იმ რეჟიმს ვებრძოდი...

— ნინო, მართალია, ორი წლის წინ ყველაფერი მომიყევი, მაგრამ მაშინ ის კერძო საუბარი იყო, ახლა კი მოდი, დეტალურად საჯაროდ მიამბე, „ციხის კადრების“ არსებობა როდის და როგორ გაიგე, კარგი?

— გიამბობ... ერთხელ, 2012 წლის მაისი ან ივნისი იქნებოდა, მე და სოსო მანჯავიძე ვლაპარაკობდით და სოსომ თქვა, არსებობს რაღაც ისეთი, რაც მიშას გაანადგურებსო, მაგრამ არ ჩავძიებივარ, რას გულისხმობდა. ეს ფრაზა ახლა გამახსენდა, თორემ არც ირმა ინაშვილს და არც სხვა ვინმეს ჩემთვის არ უთქვამს, რომ „ციხის კადრები“ არსებობდა...

— იმ დროს ბიძინა ივანიშვილს იცნობდი?

— არა და არც ახლა ვიცნობ. ერთადერთხელ, პრემიერი რომ გახდა, პრესკონფერენციაზე, პირდაპირ ეთერში კითხვა დავუსვი, თორემ ბატონ ბიძინასთან შეხება არ მქონია, არც მაქვს და, ალბათ, არც მექნება. თამაზ თამაზაშვილს კი, როგორც ჟურნალისტი, 1996 წლიდან ვიცნობ — მაშინ ის კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსი იყო, მე კი, „პირველ არხზე“ კრიმინალურ გადაცემებს ვამზადებდი და ვმეგობრობდით. ისიც ცნობილია, რომ ბიძაჩემი, თემურ მურღულია მაშინ შსს-ში მუშაობდა და ძალოვან უწყებაში ბევრს ვიცნობდი, ბევრთან, მათ შორის, თამაზსა და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანთან ვემგობრობდი, თუმცა 2003 წლის მერე თამაზი აღარ მინახავს — თანამდებობაზე აღარც თამაზი იყო და ტელევიზიაში აღარც მე ვმუშაობდი, რადგან მიშამ მთელი „პირველი არხი“ „შევარდნაძის ნარჩენებისგან“ გაათავისუფლა. მოკლედ, თამაზთან 2011 წლამდე ანუ ვიდრე დაიჭერდნენ, შეხება აღარ მქონია.

— არც ირაკლი ღარიბაშვილს იცნობდი?

— არა, რადგან მაშინ, როცა ჩვენ ვმეგობრობდით, ირაკლი თამაზის სიძე არ იყო... ყველამ, ვინც მიცობს, იცის, რომ ადამიანს, თუ მისი დახმარება სიტყვით მაინც შემიძლია, გვერდით დავუდგები. რომ დაიჭირეს და თამაზის წინააღმდეგ ათას პასკვილს აცხობდნენ, როგორც ჟურნალისტმა და მეგობარმა, „ობიექტივზე“ მისი მხარდამჭერი გადაცემების გაკეთება დავიწყე, თუმცა ეთერში მისი უახლოესი მეგობრებიც არ მოდიოდნენ და ხშირად თამაზის მიერ გაკეთებულ საქმეებზე მთელი საათი მარტო ვლაპარაკობდი. ამ გადაცემებს ციხეში, თურმე, თამაზიც უსმენდა და მერე მითხრა, მამხნევებდი და ბევრ რამეს გადამარჩინეო... ირაკლი ღარიბაშვილი სწორედ ამ დროს გავიცანი — ეს გადაცემები ნახა და მადლობა გადამიხადა, რომ მის სიმამრს გვერდით ვედექი. ვანო, ლელა კაკულია ხომ არ ვარ, მცოდნოდა, 2012 წელს „ოცნება“ გაიმარჯვებდა და ბიძინა ივანიშვილი ირაკლის პრემიერად წარადგენდა?!

...17 თუ 18 სექტემბერს მაშინდელმა მთავარმა პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია, ციხეში წამების კადრები დაიდგა და ყველაფერ ამის შემოქმედი თამაზ თამაზაშვილიაო. მაკა რაზმაძემ დამირეკა და მითხრა, სასწრაფოდ გადაცემაში მოდიო. ეს გადაცემა არქივში არსებობს, სადაც ხალხს მივმართავ, არ დაიჯეროთ, თამაზი ამის გამკეთებელი არაა-მეთქი. სხვათა შორის, შეგვეშინდა, რომ თამაზის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა და, როგორც მერე გავიგეთ, მართლაც, მორგში ყოლიათ გადაყვანილი და ექიმმა ელექტროშოკით გადაარჩინა. ამ დროს ირმა ინაშვილი ბელგიაში იმყოფებოდა, თუმცა არ ვიცი, რისთვის იყო წასული...

— მეგობრები ხართ და ზერელედ მაინც არ უთქვამს, არჩევნების წინ, ბელგიაში რისთვის მიდიოდა?

— არა. მართალია, 22 წლის მეგობრები ვართ, მაგრამ მხოლოდ ის მითხრა, რომ ბელგიაში პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა, მათ შორის, თამაზ თამაზაშვილის საქმე მიქონდა...

მოკლედ, მე და მაკა რაზმაძე პირდაპირ ეთერში თამაზის ვიცავთ და უცებ, მაკა ამბობს, სოციალურ ქსელში ვინმე ლადო ბედუკაძე წერს, არ დაიჯეროთ, რაც ტელევიზიით გავიდა და მალე ნახავთ სენსაციურ კადრებს, რაც ციხეში რეალურად ხდებაო...

— ლადო ბედუკაძის არსებობა მაშინ პირველად გაიგე?

— არა, წინა დღეებში სხვებისგან გავიგე, რომ ვინმე ლადო ბედუკაძე ბელგიაში გაიყვანეს, ოღონდ ეს ირმას არ უთქვამს... ამ დროს არც გიორგი ლომიას ვიცნობდი... მეორე თუ მესამე დღეს, ტელევიზიით ის კადრები გავიდა, რაც ყველამ ვნახეთ და, სიმართლე გითხრა, რაღაცნაირად გულიც დამწყდა, ჩემმა მეგობარმა, ირმა ინაშვილმა არ მითხრა, რომ ასეთი კადრები ჰქონდა.

— არ გენდო?

— ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ირმამ ბრიფინგზე განაცხადა, არ მინდოდა, რომელიმე ჩემი ახლობლისა და თანამშრომლის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დამეყენებინა და ამიტომ არავის გავაგებინეო.

— საფრთხე თურქეთში გაგზავნით არ გემუქრებოდა?

— იქ უფრო მეტი საფრთხის წინაშე ვიყავი, თან ხაზს ვუსვამ: თურქეთში უფულოდ წავედი... მოკლედ, ბედუკაძის ცოლი, ირმა ორჯონიკიძე ტელევიზიით აკეთებს განცხადებას, რომ კუდ-ის თანამშრომლები მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ... ღამის 10 საათზე, ჩემი პროდიუსერი, ილია ჩაჩიბაია მირეკავს და მეუბნება, ნინო, არავინ უნდა იცოდეს და ბედუკაძის ცოლი აეროპორტში უნდა წავიყვანოთო.

— ეს ტელეფონში გითხრა?

— არა, „ობიექტივში“ მივედი. ილიამ ისიც მითხრა, რომ ჩვენთან ერთად ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ზაზა ხატიაშვილი და უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი იქნებოდნენ. წავედით ვარკეთილში, ეზოში პოლიციელები დაგხვდნენ, სახლში მე და გელა ნიკოლეიშვილი ავედით, ბედუკაძის ცოლი, ბავშვებთან ერთად, გამოვიყვანეთ, ინტერვიუც ჩავწერეთ და გავუშვით. ჩემი ტელეფონის ნომერი ჩავაწერინე... მეორე დღეს ისტერიული ხმით მირეკავს, სასტუმროს კარზე ვიღაც აბრახუნებს და ბავშვები საჭმელადაც ვერ გამყავსო. ბელგიაში, ალბათ, ქმარსაც დაურეკა... მეორე დღეს, საღამოს 8-9 საათზე ირმამ ბელგიიდან დამირეკა და მითხრა, ერთი-ორი ხელი ტანსაცმელი ჩააგდე, ბილეთი შენს სახელზე უკვე არის, მიხვალ „ობიექტივში“, დიმას ნახავ, ნინო რატიშვილთან ერთად, სტამბოლში წახვალ და იქ მანამ დარჩები, ვიდრე ლადოს ცოლს ვიზა არ გაუკეთდებაო. წინააღმდეგობა ერთი სიტყვითაც არ გამიწევია — მეგობარს ვჭირდებოდი და მორჩა.

— შენი ოჯახი აქ რჩებოდა და წუთით მაინც არ დაუშვი, რომ შეიძლება, საფრთხის წინაშე დამდგარიყო?

— არა. ყველამ იცის, რომ გაჭირვებაში ჩემი დაყრდნობა შეიძლება და, მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ინსულტიანი იყო, ფიროსმანის ქუჩაზე, სახლმმართველობის შენობაში ლტოლვილივით ვცხოვრობდი და ბევრს აქვს ნანახი, იქ რა მდგომარეობაც იყო... შინ საჭმლის ფულიც ვერ დავტოვე...

— იმის შესახებ, რომ თურქეთში მიდიოდი, ვთქვათ, ირაკლი ღარიბაშვილს შეატყობინე?

— არა, ვანო. მასთან შეხება არ მქონდა, ის ადამიანი კი, ვისთანაც ვმეგობრობდი, ციხეში იყო...

— ახლა გამახსენდა: ღარიბაშვილთან მიტინგზე სურათი გაქვს გადაღებული...

— ჩემი და ირაკლის ეს ცნობილი ფოტო 2012 წლის მაისის ბოლოს, თბილისის 300-ათასიან მიტინგზეა გადაღებული — როგორც ჟურნალისტი, „ობიექტივზე“ „ქართული ოცნების“ ყველა მიტინგს ვაშუქებდი და მაშინ, მახსოვს, ვთქვი, ეს ახალგაზრდა კაცი დაიმახსოვრეთ, დიდი მომავალი აქვს-მეთქი. ეს, უბრალოდ, ჩემი წინათგრძნობა იყო, თორემ საიდან უნდა მცოდნოდა, რა მოხდებოდა?! ისე, იმ დროს ხალხს ისე ეშინოდა, რომ ტელეფონზე ვერ ლაპარაკობდა და სოციალურ ქსელში ასეთი მიმოწერა წარმოუდგენელი იყო. ეს სისულელეა!

— იმხანად, ლადო ბედუკაძე შენი „ფეისბუქმეგობარი“ უკვე იყო?

— არა. „ფეისბუქში“ მას შემდეგ დავიმეგობრე, რაც შარშან, თარხან გასვიანის გადაცემაში ბოდიში იძულებით მოვახდევინე — ორი-სამი წელი ანუ იმ წუთიდან, რაც სტამბოლიდან ჩამოვედი, მასთან დაძაბული ურთიერთობა მქონდა... „ციხის კადრები“ რომ ვნახე, იმ ადამიანის მიმართ, ვინც იღებდა, ცუდი განწყობა დამეუფლა — არ მაინტერესებს, კადრები დადგმულია თუ არა, არასრულწლოვანი ბავშვის ნამებისას მისი ხმა მესმის, ეს ხმა მეხსიერებიდან არ იშლება და როცა თურქეთში, მის ცოლ-შვილთან ვიყავი, ამას განვიცდიდი...

მოკლედ, 2012 წლის 23 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, სტამბოლში, ბედუკაძის ცოლ-შვილთან ვიყავი. აქედან „ჯიბის ფულად“ 400 დოლარი გამატანეს, სასტუმროს ხარჯები კი გადახდილი იყო, თუმცა არ ვიცი, ვინ გადაიხადა. საქართველოს ფარგლებს გარეთ მაშინ პირველად გავედი, აეროპორტში მე და ნინო რატიშვილს თურქი მძღოლი დაგვხვდა და სასტუმროში მიგვიყვანა. იქ ინტერნეტიც არ მქონდა — თურქული

ტელეფონით ინტერნეტში ვერ შევიდოდი, რადგან ძალიან ძვირი ღირდა და იმ პერიოდში, სოციალურ ქსელში სტატუსიც არ დამიდია. სასტუმროში კი სულ სამი კომპიუტერი იყო, რომელთანაც მუდამ უცხოელები ისხდნენ. კომპიუტერთან დაჯდომა რომც მომეხერხებინა, ქართული შრიფტი არ ექნებოდა, იმდენი კი არ ვიცი, რომ კომპიუტერში ქართული შრიფტი დავაინსტალირო. შესაბამისად, ბედუკაძეს ქართულად ვერანაირად მივწერდი, თან ირმა ინაშვილი და ლადო ბედუკაძე ბელგიაში იყვნენ და რანაირად უნდა მიმეწერა, ლადო, შენს ცოლ-შვილს 27 ათასს ვუგზავნი და ეს ირმას ფულია-მეთქი?.. სხვათა შორის, თბილისიდანაც კი არავის დაურეკავს, რადგან გამაფრთხილეს, რომ მეგის ქარდავა თურქეთში იყო... ამასობაში, ავად გავხდი, დავრეკე და ვითხოვე, რომ თბილისში წამოვიდოდი.

— ვის დაურეკე?

— ირმას... ბილეთიც ბელგიიდან „დამიბრონეს“. 3 ოქტომბერს ნინო რატიშვილმა გამომაცილა, თვითონ კი, თურქეთში დარჩა. 4 ოქტომბერს, „ობიექტივზე“ გადაცემა წავიყვანე და ხალხს მივესალმე, იცით, ამდენ ხანს სადაც ვიყავი-მეთქი. სხვათა შორის, ამ დღეს სტამბოლში ნაყიდი მაისური მეცვა, აი, ის მაისური, თითქოს ჩემი და ბედუკაძის „ფეისბუქმიმოწერის“ კადრებში რომ მაცვია... თბილისში დამახვედრეს სტატია, სადაც ბედუკაძე ამბობდა, ჩემი ცოლ-შვილი თურქეთში ტყვედ აიყვანესო. ამის შემდეგ, სოციალურ ქსელში, სადაც წავაწყდებოდი, ვუწერდი, შე ჯალათო, შენს ცოლ-შვილს ვპატრონობდი და მადლობა მაინც გადაგეხადა-მეთქი...

— ნინო, ის, რომ „ციხის კადრები“ თითქოს დაფინანსებული იყო, ჯერ კიდევ 2012 წელს ითქვა. თუნდაც ირმასთვის არ გიკითხავს, რა ფულზეა ლაპარაკიო?

— სიმართლე გითხრა, არა, რადგან ამ კითხვაზე არავინ მიპასუხებდა, თან ირმა ბრიფინგებზე ამბობდა, ლადო ბედუკაძეს ბელგიაში წასასვლელი ფული „ობიექტივის“ ხალხმა გადავუხადეთო.

— იმხანად „ობიექტივის“ ჟურნალისტებს, როგორც ამბობდით, ჯამაგირიც არ გქონდათ. ტელეკომპანიას ფული როგორ უნდა გადაეხადა?

— კი, ხელფასი ნამდვილად არ გვქონდა, მაგრამ კითხვა თუნდაც იმაზე უნდა გამჩენოდა, საზღვარგარეთ როგორ მიდიოდნენ... ვიღაც ბიზნესმენები გვაფინანსებენო... „ობიექტივის“ ბუღალტერიც დაადასტურებს, თურქეთში რომ მივდიოდი, 400 დოლარი მე მომცეს, 400 კი რატიშვილს.

— ციხიდან გამოსვლის შემდეგ, თამაზ თამაზაშვილთან „ციხის კადრებზე“ გილაპარაკია?

— არა... ამ დროს ირმა ინაშვილსა და ლადო ბედუკაძის ურთიერთობა ძალიან დაძაბული იყო და, რა თქმა უნდა, ირმას მხარეს ვიყავი, ელისო კილაძე კი — ბედუკაძის...

სხვათა შორის, ჩემი და ბედუკაძის ნამდვილი მიმოწერა, რომელიც 20012 წლის 30 ოქტომბრით თარიღდება, პროკურატურაში მივიტანე.

— და რას წერ?

— ლადო, რა გინდა, შეურაცხყოფას რატომ მაყენებ, მიცნობ-მეთქი? ეს ის დროა, როცა ჩემი ძმის ჩარევაც უნდოდათ, პოლიციაში მუშაობს და რა, ჯალათი არ იყოო?!

— ნინო, რაკიღა სიტყვამ მოიტანა, როგორც ვიცი, ნაციონალების დროს ძმასთან ურთიერთობა არ გქონდა...

— დიახ, ბოლო ორი წელი ჩემს ძმასთან ნაკლები შეხება მქონდა. ის ქალაქის პოლიციაში, ჯიბგირების განყოფილებაში მუშაობდა და გამორიცხული იყო, მონაწილეობა რომელიმე სადამსჯელო ოპერაციაში მიეღო. იმ დროს პრემიებს მხოლოდ ისინი იღებდნენ, ვინც ასეთ ოპერაციებში მონაწილეობდნენ. ამ ხნის განმავლობაში, ჩემს ძმას პრემია სულ 200 ლარი აქვს აღებული. ხელფასი კი, 1200 ლარი ჰქონდა.

...ვანო, ეჭვის საფუძველზე ვერ ვილაპარაკებ, თორემ ზუსტად ვიცი, ჩემი და ბედუკაძის ყალბი მიმოწერა სად, ვისი ხელით გაკეთდა და ყველაფერ ამის უჩინარი რეჟისორი ვინაა.

— ყველაფერ ამაში შენი ახლობლებიც ხომ არ არიან გარეულნი?

— შეიძლება... ყოველ შემთხვევაში, ამ „ფეიკის“ შექმნაში ნაცმოძრაობა არ მონაწილეობდა! დანარჩენი, უფალმა იცის!

— შენგან ამის თქმა უცნაურია...

— დიახ, მაგრამ ვიდრე გამოძიება მიდის, არ მინდა, ამ თემაზე ვრცლად ვილაპარაკო, ისეც ბევრი ვთქვი... ღიად მაშინ ვილაპარაკებ, როცა მტკიცებულებები მექნება და როცა შარშანდელი საქმეც გაიხსნება.

— შარშანდელი საქმე რომელია?

— შარშან, სოციალურ ქსელში, ჯერ პირადი ვიდეოების გავრცელებით მემუქრებოდნენ, შემდეგ კი, მომწერეს, თუ 500 დოლარს გადაგვიხდი, ამ ვიდეოებს არ გამოვაქვეყნებთო. ვიდეოს ლინკებსაც „მიგდებდნენ“, მაგრამ არ გავხსენი და, როგორც მერე პოლიციაში მითხრეს, თუ ამ ლინკებს გავხსნიდი, ჩემს „ფეისბუქს“ გატეხდნენ...

— ნინო, ჟურნალისტი როგორც ლაშა ბერულავა ამბობს, ერთი წლის წინ გითხრა, რომ შენი და ბედუკაძის მიმოწერის, ასე ვთქვათ, „ფეიკური ლინკები“ არსებობდა...

— დიახ, მითხრა და ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა მაშანტაჟებდნენ და ფულს მძალავდნენ... ლაშამ სადღაც დაწერა, იმ დროს, როცა ვანო მერაბიშვილი კარგი ეგონა, ნინოს პატივს ვცემდიო. დღესაც არ ვმალავ, რომ ვანო ყველა პოლიციელისთვის კარგი მინისტრი იყო და რომ არა მისი ცოლი თუ სანდრო გირგვლიანის ამბავი, შესაძლოა, კარგ მინისტრად დარჩენილიყო! საერთოდ, ჩემთვის ყველა პოლიციელი ღირსეულია და თუ დანაშაულს არ ჩაიდენს, ყოველთვის პოლიციელის მხარეს ვიქნები! მოკლედ, ვანო მერაბიშვილით ვერ დამაშანტაჟებენ, რადგან ღიად მაქვს ნათქვამი, რომ ის პოლიციელებისთვის კარგი მინისტრი იყო!

— დღესაც ასე ფიქრობ?

— რა თქმა უნდა...

— სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, როცა ტრაგედია

მოხდა და ლევან გვაზავას იცავდი, ზოგმა „წაგკბინა“, ნახეთ, ჯღარკავა ნაციონალებს იცავსო...

— ვანო, კარგ თემას შეეხე. ლევან გვაზავას, როგორც თამაზ თამაზაშვილს, 1996 წლიდან ვიცნობ, მაშინ არც ნაცმოძრაობა არსებობდა და არც — „ქართული ოცნება“.

— გვაზავასთან „ვარდების რევოლუციის“ მერეც მეგობრობდი?

— 2003 წლის მერე, როცა მიშამ ტელევიზიიდან გაგვათავისუფლა, ლევანი ქალაქის პოლიციის უფროსად დანიშნეს და ორჯერ ვნახე, პირველად მივულოცე. მესამედ კი მდივანმა არ შემიშვა, რამაც ჩემზე ცუდად იმოქმედა... 2004-ში, ვანო მერაბიშვილი შს მინისტრი რომ გახდა, ლევანი მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს და მესიჯი მივწერე, ლევან, გილოცავ და როცა გაგიჭირდება, ისევ შენი მეგობარი ვიქნები, მაგრამ აღარასოდეს მოგიკითხავ-მეთქი. მას მერე, 2007 წლამდე, ლევან გვაზავა აღარ მინახავს. 7 ნოემბრის წინ, შს მინისტრის მოადგილეობიდან გაათავისუფლეს, რადგან დარბევის სქემაში მონაწილეობაზე უარი თქვა და გაზის კორპორაციაში მოადგილედ დანიშნეს.

— კარგია, რომ ამ თემას შეეხე, რამეთუ ამბობენ, რომ ნავთობისა და გაზის კორპორაციის „პიარად“ თამაზ თამაზაშვილთან მეგობრობის გამო დაგნიშნეს...

— ტყუილად ჰგონიათ, რომ ეს სამსახური დღეს გამიკეთეს, მაშინაც გაზისა და ნავთობის კორპორაციაში ვმუშაობდი — 2004-2006 წლებში ნავთობის კორპორაციის პრესსამსახურის უფროსი ვიყავი, 2006-ში კი, როცა ნავთობისა და გაზის კორპორაციები გაერთიანდა და ხელმძღვანელი ალეკო ხეთაგური გახდა, მთავარ სპეციალისტად გადამიყვანეს. ეს ყველამ იცის და ამით ვერ ისპეკულიანტებენ! სხვათა შორის, მაშინ უკეთესი პირობები მქონდა და შემეძლო, არ წამოვსულიყავი.

— რატომ წამოხვედი?

— მიტინგებზე დავდიოდი, რასაც მაშინ ვერავინ ბედავდა — ჩვენი „ოდეერი“ ახალაიების მარჯვენა ხელი იყო...

მოკლედ, 2007-ში, ლევან გვაზავა ჩვენთან მოადგილედ მოვიდა, არც ეგონა, იქ რომ ვმუშაობდი და ვუსაყვედურე, სამართველოში მესამედ რომ მოვედი, რატომ არ მიმიღე-მეთქი. მიპასუხა, ნინო, შენ გაგიფრთხილდი, რადგან ბრძანება იყო, რაღაცა უნდა მოეწყოთო...

— ერთი სიტყვით, ნინო, თუ ადამიანი შენი მეგობარი და ამავდროულად, ნაცმოძრაობის წევრია, მაინც შენი მეგობარი იქნება?

— რა თქმა უნდა... პოლიტიკა და მეგობრობა ერთმანეთში არასოდეს ამირევია, თუმცა ნაცმოძრაობაში მეგობრები არ მყავს... როცა ლევან გვაზავას საავადმყოფოში ღამეებს ვუთევდი, აგრესია არც ნაცმოძრაობიდან წამოსულა და არც — „ქართული ოცნებისგან“, არამედ, პატრიოტთა ალიანსიდან წამოვიდა: ჩემთვის უცნობი ადამიანები წერდნენ, ნინო ჯღარკავა „ობიექტივის“ წევრი არ ყოფილაო და ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო.

— ნინო, ამას წინათ, სოციალურ ქსელში შენი სტატუსი წავიკითხე და მომეჩვენა, რომ ირმა ინაშვილზე ნაწყენი ხარ...

— ვანო, არ მოგეჩვენა! ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული თემაა, რადგან ყველაფერი ირმაზე კარგად არავინ იცის. მესმის, ირმა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდა, მაგრამ ერთი კვირის წინ, როცა ბრიფინგი ჩავატარე, „ობიექტივის“ ერთი ჟურნალისტიც არ მოვიდა, რაც უცხო ადამიანებმაც შეამჩნიეს და კითხვა დასვეს, კარგი, ირმას არ ეცალა, მაგრამ შენი სხვა მეგობრები სად იყვნენო.

— ამ კითხვაზე შენი პასუხი როგორია?

— პასუხი არ მაქვს, უბრალოდ, ერთ-ერთ საიტს ირმამ განუცხადა, ყველაფერი სისულელეა, პროკურატურას მიმართა და ნინო, რა თქმა უნდა, კარგად მოიქცაო. ადამიანთან ან ვარ, ან არა... როცა ირმა ინაშვილი თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობდა, ბეწვის ხიდზე გავიარე, რადგან არჩევანის გაკეთება ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. ყველა ელოდა, ხმას ვის მივცემდი და განვაცხადე, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ და მანამ ვიქნები, ვიდრე ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ წევრი იქნება, ხმას ირმას ვაძლევ-მეთქი, თუმცა ამის გამო საყვედური არავის უთქვამს.

— სოციალურ ქსელში ირაკლი ღარიბაშვილს ხშირად „ჩემს პრემიერს“ უწოდებ...

— და ამაზე შაყირობენ, მაგრამ ავხსნი: ბევრი თვლის, რომ ღარიბაშვილი მისი პრემიერი არაა, ჩემთვის კი პრემიერია...

— მაშინ, როცა პრემიერი აღარ იქნება, ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ შენი დამოკიდებულება შეიცვლება?

— გამორიცხულია! ხომ გითხარი, როცა ლევან გვაზავა მინისტრის მოადგილე იყო, მასთან ურთიერთობა არ მქონდა, დღეს კი, როცა მასა და მის ოჯახზე აგრესია მიდის, მის გვერდით ვდგავარ! როცა ბატონი ირაკლი პრემიერი აღარ იქნება, ფრთები უფრო მეტად გამეშლება, რომ მის სიკეთეებზე ვილაპარაკო!

— იმაზეც გედავებიან, რომ საჯარო მოხელე ხარ და მსგავსი განცხადებების გაკეთება არ შეგიძლია...

— საჯარო მოხელე არ ვარ, რადგან ნავთობისა და გაზის კორპორაცია საჯარო სამსახური არაა, უბრალოდ, ჩვენს აქციებს სახელმწიფო ფლობს.

— ...ადამიანების ნდობა ხომ არ დაკარგე?

— არა... ის, რომ „ობიექტივის“ გუნდი ჩემს გვერდით არ დადგა, ჩემთვის ტკივილია, მით უმეტეს, სიმართლე იცოდა...

— შეიძლება, გაბრაზდე, მაგრამ იმასაც გაბრალებენ, რომ პიარსაკითხებში პრემიერის მთავარი არაოფიციალური მრჩეველი ხარ...

— ესეც ისეთივე სისულელეა, როგორც ჩემი და ბედუკაძის ვითომმიმოწერა. ამას ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა ახსენებდა, რომლის ხსენებაც არ მინდა. როგორ შეიძლება, მრჩეველი ვიყო, როცა პრემიერს, კანცელარიაში, 80 თანამშრომელი ჰყავს, თავისი მრჩევლებითა და პრესსამსახურის ხელმძღვანელით. თუკი რამე არ მოეწონება, ხმამაღლა ვამბობ. 9 წელი არ მომწონდა, სააკაშვილი ტრიბუნას რომ „დაარიხინებდა“ და დადიანების სასახლეში ტრიბუნა პრემიერსაც დაუდგეს, რაზეც გავბრაზდი და დავწერე, ის, რაც მიშასი არ მომწონდა, არც ამ ხელისუფლების მომეწონება-მეთქი, მაგრამ ამაზე არავის ველაპარაკები. ეს ოჯახი ისეთი მიყვარს, როგორიც არის და ძალიან კარგი, კეთილი, წესიერი და პატიოსანია. ისინი დაუნახავები არ არიან. ყველაზე მეტად ის გტკივა, როცა მეგობარი დაუნახავია. ირმა ინაშვილისგან ბევრი სიკეთე მახსოვს და დაუნახავი არ ვარ, მაგრამ ჩემს გვერდით არავინ დადგა და მივხვდი, ეს პოლიტიკის გამო გაკეთდა. ამიტომაც დავწერე სოციალურ ქსელში, პოლიტიკა ამად არ ღირს-მეთქი. გვიან მიხვდებიან, რომ ეს გაურკვევლობა პოლიტიკის გამო მოხდა.

— წყენას დიდხანს იმახსოვრებ?

— არა... მან რომ დამირეკოს, ვისზეც ნაწყენი ვარ, და ორი ტკბილი სიტყვა მითხრას, ავტირდები და იმ წუთას ყველაფერი დამავიწყდება...

— ნინო ჯღარკავას მთავარი სევდა რა არის?

— მეგობრის ღალატი!

— შეგიძლია, საკუთარ თავს აპატიო?

— კი, შემიძლია. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერში მართალი ვარ. შეიძლება, ზოგჯერ ვერ მომიზომია და ბევრი შეცდომა დამიშვია, მაგრამ სხვისთვის არასოდეს მივნია. მხოლოდ საკუთარი თავისთვის დამიშავებია... თუ უნებლიედ შემეშალა, ბოდიშის მოხდისაც არ მრცხვენია. ერთადერთი, რისი პატიებაც არ შემიძლია, ღალატია!

— „რუსთავი 2“-ისგან მაინცდამაინც 100 ათასს რატომ ითხოვ?

— ჯერ ერთი, სასამართლოში არცთუ მცირე რაოდენობის ბაჟია შესატანი, რაც ჩემთვის ძნელი საშოვნია. მეორეც, წინა ხელისუფლებისგან დაზარალებული ვარ, ბინის 10-წლიანი კრედიტი მაქვს და არ ვიცი, გადავიხდი თუ შვილს, ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო, ისევ ქუჩაში დავტოვებ. ისე, მნიშვნელოვანი არაა, თანხას გადამიხდიან თუ არა, მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეს მოვიგებ! სხვათა შორის, იმ უჩინარი რეჟისორების სახელები და გვარებიც ვიცი, ვინც ამ გადაცემის უკან იდგნენ.

— მრავლობითში რატომ საუბრობ?

— იმიტომ, რომ სამნი არიან. სამივემ იცის, რომ მათი ვინაობა ვიცი, მაგრამ იმასაც ხვდებიან, რომ ხმამაღლა არ დავასახელებ, რადგან ამას დამტკიცება უნდა. ის ჟურნალისტი კი არ ვარ, ჰაერზე ვილაპარაკო! მათთვისაც მიპატიებია, რადგან ყველაფერი პოლიტიკას სჭირდებოდა. მე ერთგულების გამო ვისჯები, მაგრამ ჩემი ერთგულებით შემიძლია, მთები გადავატრიალო და ის გავაკეთო, რასაც მთელი პარტია ვერ გააკეთებს!..

„ყარამანაშვილების სინდრომი“

რა აერთიანებს „რუსთავი 2“-ისა და „კავკასუს ონლაინის“ საქმეებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რას ნიშნავს „ყარამანაშვილების სინდრომი“ ბიზნესში? რას და — ამა თუ იმ კომპანიის ნომინალურ, ფორმალურ, უფრო ზუსტად კი „ფანტომას“ მფლობელს, როდესაც ბიზნესს კონკრეტული პოლიტიკური პარტია აკონტროლებს, ნომინალური მფლობელი კი არ ჩანს. თუმცა ბოლოს და ბოლოს, ყარამანაშვილებიც გამოჩნდნენ და მართალია, ისინი თვალით არავის უნახავს, მედიის საშუალებით, განცხადება გაავრცელეს. თანამედროვე ქართველი „ფანტომასის“ ორ-გვერდიანი განცხადებიდან ვიგებთ, რომ ნიკა გვარამია „რუსთავი 2“-ის დირექტორად, როგორც გამოცდილი იურისტი და მენეჯერი ისე დანიშნეს. ყარამანაშვილები აცხადებენ, რომ „რუსთავი 2“-ში წილების დათმობას არ აპირებენ და ამ ტელევიზიას ვერავინ წაართმევთ. „ყარამანაშვილების სინდრომის“ სქემა მარტივად გასაშიფრია — ჯერ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ბიზნესმენების სია დგებოდა, მერე ამ ბიზნესმენების მუქარა იწყებოდა, რაც შანტაჟსა და ფსიქოლოგიურ ზეწოლა-ტერორში გადადიოდა, ბოლოს კი ყველაფერი ხელების გადაგრეხვით ანუ ბიზნესწილების იძულებით დათმობით მთავრდებოდა. ამ სქემის ფინალი სხვადასხვანაირი, მაგრამ ბანალური იყო — როგორც წესი, არასასურველ ბიზნესმენებს ციხეში სვამდნენ, იშვიათ შემთხვევაში, ხელისუფალისთვის მიუღებელი პირი საქართველოდან გარბოდა და თავს (ოჯახსაც) ევროპის რომელიმე ქვეყანას აფარებდა.

ქართულ სინამდვილეში, „ყარამანაშვილების სინდრომი“ სატელევიზიო ბიზნესთან ასოცირდება და ამ შემთხვევაში, მათ საკუთრებაში არსებული ტელეკომპანია „რუსთავი 2“, კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ანუ ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიას ემსახურება. ყარამანაშვილები, ტელევიზიის გარდა, კომუნიკაციის, რესტორნებისა და სამარშრუტო ხაზების ბიზნესშიც გვხვდებიან. ისინი საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უახლოესი გარემოცვის საკმაოდ ავტორიტეტული წევრები არიან — ერთ-ერთი ძმა და აწ უკვე ოდესის გუბერნატორი, წლების წინ, კიევში ერთად სწავლობდნენ...

ვინ არიან ყარამანაშვილები

ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს ანუ მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მართავდა, მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილი გახლდათ და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს ქვეყნის ხერხემალს უწოდებდნენ, „ვერსიაში“ ყარამანაშვილების ბიზნესინტერესების შესახებ არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გამოქვეყნდა. ჩვენს მიერ მოკვლეულ მასალებში, ძმების — ლევან და გიორგი ყარამანაშვილების სახელი, როგორც „რუსთავი 2“-ის, ასევე „კავკასუს ონლაინის“, „ბილაინისა“ და რესტორნების ქსელ GMC ჯგუფის მფლობელებს შორის ფიგურირებდა; მეტიც, ლევან ყარამანაშვილი თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას საქმეშიც ამოტივტივდა.

ვიდრე უგულავას თბილისის განვითარების ფონდიდან გაფლანგული დიდი ოდენობის თანხის გამო დააკავებდნენ, მერიის რამდენიმე მაღალჩინოსანი დააპატიმრეს. იმ პერიოდში, „ვერსიამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა გამოძიების მასალები, რომლითაც რიყის რეაბილიტაციის პროექტში, რასაც ამ ტერიტორიაზე განთავსებული რესტორნები 2005 წელს „შეეწირა“, ლევან ყარამანაშვილის სახელი იყო მითითებული. „ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, 2006 წელს, თბილისის მერიამ რიყის ტერიტორია, 7 მილიონ აშშ დოლარად, შპს „ახალ რიყეს“ განვადებით მიყიდა. „ახალი რიყის“ 100%-იანი წილის მფლობელი ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია „GMC ჰოლდინგია“, რომლის დირექტორი ლევან ყარამანაშვილია. სწორედ ლევანის ძმა, გიორგი ყარამანაშვილი და მიხეილ სააკაშვილი სწავლობდნენ კიევში ერთად, მაგრამ გარდა ამისა, ლევანი ექსპრეზიდენტთან დაახლოებული ბიზნესმენის, რეზო შარანგიას დის ქმარიცაა. თავის მხრივ, რეზო შარანგია, „GMC ჰოლდინგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

მას შემდეგ, რაც რიყე შპს „ახალმა რიყემ“ შეიძინა, მასვე დაევალა, როგორც ტერიტორიის 20%-ის გამწვანება, ასევე საფეხმავლო ხიდის აშენება და ინვესტიციების მოზიდვაც, თუმცა კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ერთი ვალდებულებაც არ შეუსრულებია, სამაგიეროდ, მერიისგან ნაყიდი ტერიტორიის 80%, რამდენიმე თვეში, რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენ დავით იაკობაშვილს მიყიდა, რომელსაც ინვესტიციები უნდა მოეზიდა და ხიდი აეშენებინა. საფეხმავლო ხიდი რიყეზე მართლაც აშენდა, ოღონდ 2010 წელს, რომელიც თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდა!

2006 წელს, შპს „ახალმა რიყემ“, თბილისის მერიისგან 7 მილიონ აშშ დოლარად ნაყიდი რიყის ტერიტორია 2008 წელს თბილისის მერიას დაუბრუნა, ოღონდ 17 მილიონ აშშ დოლარად. ამ გარიგებით, ყარამანაშვილმა და შარანგიამ, 10 მილიონი აშშ დოლარით იხეირეს.

ლევან და გიორგი ყარამანიშვილების სახელები ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ რამდენიმე კომპანიაშიც გვხვდება — სწორედ ამ კომპანიების საშუალებით ფლობენ ყარამანაშვილები წილებს სხვადასხვა მსხვილ კომპანიაში. „საგამოძიებო ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის“ საინფორმაციო ბაზაში ოფშორული კომპანიების მფლობელთა ვინაობა გაიშიფრა, სადაც ლევან ყარამანიშვილიცაა ნახსენები, რომელიც ორი ოფშორული კომპანიის — Delgado Resources-ისა და Watertrial Industries-ის თანამფლობელია. ამავე კომპანიებში წილებს ფლობენ რევაზ ელიავა, თეიმურაზ არონია და ხვიჩა მაქაცარია. საჯარო რეესტრის 2014 წლის 9 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში სიდიდით მესამე ფიჭური ოპერატორის, „ბილაინის“ („მობიტელი“) 51%-ის მფლობელი ოფშორში რეგისტრირებული და ლევან ყარამანიშვილთან დაკავშირებული Watertrial Industries-ია, მობილური ოპერატორის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კი, რუსეთის ფედერაციის რამდენიმე მოქალაქესთან ერთად, ამავე ოფშორული კომპანიის თანამფლობელები ხვიჩა მაქაცარია და თეიმურაზ არონიაც არიან. ლევან ყარამანიშვილის სახელი უკავშირდება „ბილაინის“ კიდევ ერთ აქციონერ კომპანიას — Investico Aliance-ს, რომელიც მობილური ოპერატორის 29%-ს ფლობს.

ყარამანიშვილების ბიზნესინტერესები „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებმაც გამოიკვლიეს. Eleganza Group, რომელშიც ლევან ყარამანიშვილი 25%-ს ფლობს, ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Holden Intersales Corp-ის აქციონერია; ამავდროულად, ეს კომპანია ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Newcom Association Limited-ის საშუალებით, რესტორანთა ქსელ „GMC ჰოლდინგს“ ფლობს. სხვა აქტივებთან ერთად, „GMC ჰოლდინგის“ საკუთრებაშია სავაჭრო ცენტრი „თბილისი ცენტრალი“. ამავე კვლევის თანახმად, „GMC ჰოლდინგი“ თბილისის სამარშრუტო ხაზების ტენდერებსაც უკავშირდება, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევარებზე ადრე, ანუ მაშინ, როდესაც თბილისის სამარშრუტო ხაზების ტენდერი გამოცხადდა, ამ თემაზე ჟურნალისტური გამოძიება „ვერსიამ“ ჩაატარა.

„ვერსიის“ მასალებით, 2011 წელს, თბილისის სამარშრუტო ხაზების ტენდერში ოთხმა კომპანიამ გაიმარჯვა. ამ კომპანიებს ექსპლუატაციაში სხვადასხვა სამარშრუტო ხაზი გადაეცა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ოთხივე კომპანია ერთსა და იმავე მისამართზე, „GMC ჰოლდინგის“ კუთვნილ რესტორნებში — „ძველი სახლსა“ და „ქალაქურში“ იყო რეგისტრირებული. მეტიც, სამარშრუტო ავტობუსების ოთხივე კომპანიის წარმომადგენელი ერთი და იგივე პიროვნება ანუ „GMC ჰოლდინგის“ იურისტი იყო.

ყარამანიშვილების ბიზნესინტერესები იკვეთება „კავკასუს ონლაინშიც“. ბოლო მონაცემებით, ამ კომპანიას სამი ოფშორული კომპანია — Growth Master Holdings-ი (44%), Nelgado Limited-ი (19.8%) და International Online Networks (36.2%) ფლობს. თავის მხრივ, Nelgado Limited, International Online Networks-ის აქციათა 30%-ის მფლობელია, დანარჩენ წილებს კი რევაზ ელიავა, ხვიჩა მაქაცარია და Lexus Group Limited-ი იყოფენ. რევაზ ელიავა და ხვიჩა მაქაცარია, ყარამანიშვილთან ერთად, „მობიტელის“ („ბილაინი“) აქციონერი Delgardo Resources-ის მეწილეებიც არიან.

შერჩევითი სამართალი ბიზნესდავებში

ბოლო დროს ყარამანაშვილების სახელი მხოლოდ ერთ კონკრეტულ საქმეში ფიგურირებს: ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაბრუნებას ითხოვს, რომლის ერთ-ერთი მფლობელები ძმები ყარამანაშვილები არიან. ტელეკომპანიის წილებთან დაკავშირებით, ბიზნესმენების კერძო დავა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და რამდენიმე უცხოური მედიასაშუალების მიერ შეფასდა, როგორც ხელისუფლების ბრძოლა თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ.

სინამდვილეში, სხვა კომპანიის დაბრუნების მოტივით, ყარამანაშვილების წინააღმდეგ, ქიბარ ხალვაშის გარდა, სხვა ბიზნესმენიც იბრძვის. თუ „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი ხელისუფლებას აძლევს ხელს, მაშინ გაუგებარია, „კავკასუს ონლაინის“ ყოფილი მფლობელის, მამია სანადირაძის საჩივარი დღემდე რატომაა პროკურატურის „თაროზე“ შემოდებული? „კავკასუს ონლაინის“ დაბრუნების მოთხოვნით, მამია სანადირაძემ პროკურატურას 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მიმართა და საკმარისი მტკიცებულებებიც წარადგინა. სამი წელია ბიზნესმენი სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვს, მაგრამ მისი საქმის გამოძიება არც დაწყებულა; მეტიც — „კავკასუს ონლაინთან“ დაკავშირებით, პროკურატურამ ბიზნესმენი დაზარალებულადაც კი არ სცნო.

არის თუ არა ეს შერჩევითი სამართალი? რით აიხსნება პროკურატურის უმოქმედობა? რაში გამოიხატება ხელისუფლების ზეწოლა ამა თუ იმ გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით და რეალურად, რას ნიშნავს სამართლიანობის აღდგენა? — ეს ის ლოგიკური, გნებავთ, რიტორიკული კითხვებია, რომლებიც ამ საქმეებთან დაკავშირებით ჩნდება და რომლებზეც პასუხი არ ჩანს. გამოდის, ქიბარ ხალვაშთან მიმართებაში, ხელისუფლებას ყარამანაშვილების წინააღმდეგ ბრძოლა „აწყობს“, მამია სანადირაძის ნაწილში კი, რატომღაც — არა. მართალია, „კავკასუს ონლაინი“ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ არ არის, მაგრამ თუ მამია სანადირაძეს დავუჯერებთ, ნაციონალური მოძრაობა სწორედ ამ კომპანიის საშუალებით, დღემდე უთვალთვალებს და ფარულად უსმენს პოლიტიკურ ოპონენტებს! შერჩევითი სამართლის, „ყარამანაშვილების სინდრომისა“ და „კავკასუს ონლაინთან“ დაკავშირებული ბიზნესდავის შესახებ, „ვერსიას“ ბიზნესმენი **მამია სანადირაძე** ესაუბრება, რომელიც ამჟამად ინგლისში იმყოფება:

„ლევან ყარამანაშვილი ჩვეულებრივი კრიმინალი, უსაქმური და არამზადაა, რომელიც პოკერის თამაშითაა გატაცებული. „კავკასუს ონლაინი“, რომელშიც 80%-იან წილს ვფლობდი, სააკაშვილმა ყარამანაშვილისა და ხვიჩა მაქაცარიას ხელით წამართვა. საკონტროლო პაკეტი იძულებით დამათმობინეს, რომლის ღირებულება იმ პერიოდში 100 მილიონი იყო, მაგრამ მხოლოდ 3 მილიონი გადამიხადეს. როდესაც საკონტროლო პაკეტი ჩაიგდეს ხელში, ჩემს წინააღმდეგ მუქარისა და შანტაჟის გამოყენება დაიწყეს და ამიტომ იძულებული გავხდი, მეუღლესა და ოთხ შვილთან ერთად, ინგლისში გავქცეულიყავი. რადგან ციხეს გადავურჩი, უკვე ინგლისში მყოფს მემუქრებოდნენ, რომ კომპანიას გააკოტრებდნენ და დარჩენილი წილიც დამათმობინეს. ხვიჩა მაქაცარია და ლევან ყარამანაშვილი მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ, ისინი მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის დაკვეთით მოქმედებდნენ. ნაციონალური მოძრაობის ეს მაღალჩინოსნები კი ორგანიზებული დაჯგუფების წარმომადგენლები, „ჩმორი მაფიოზები“ იყვნენ, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს ბერკეტად იყენებდნენ და ბიზნესმენებს ძარცვავდნენ. უბედურება ისაა, რომ პროკურატურას ყველა საჭირო მტკიცებულება გადავეცი, არსებობს მოწმეთა ჩვენებებიც, მაგრამ დამნაშავეების დასასჯელად, ამ სამი წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა“.

მამია სანადირაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც კომპანიის დაბრუნების მოთხოვნით პროკურატურას მიმართა და ყარამანაშვილებმა „კავკასუს ონლაინის“ დაკარგვის საფრთხე იგრძნეს, კომპანია მიზანმიმართულად გააკოტრეს. მისი თქმით, „კავკასუს ონლაინი“ ვალებითაა დატვირთული, ლევან ყარამანაშვილსა და ხვიჩა მაქაცარიას კი მისი გაყიდვა სურთ:

„თუ ჩემი კომპანია გაიყიდება, ცხადია, დაბრუნებაში ეს ხელს შემიშლის. თავდაპირველად, „კავკასუს ონლაინის“ შეძენის სურვილი „სილქნეტმა“ გამოთქვა, რომელსაც გიორგი რამიშვილი, იგივე „ზარალა“ ხელმძღვანელობს და რომელიც ნაციონალურ მოძრაობასთანაა დაკავშირებული, თუმცა ბოლო ინფორმაციით, კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ „სილქნეტს“ უარი უთხრა, რადგან კომპანიამ კომისიაში სათანადო დოკუმენტაცია არ წარადგინა. „მაგთიკომსაც“ სურდა ჩემი კომპანიის შეძენა, მაგრამ ბოლოს უარი განაცხადეს, მეტიც, გია ჯოხთაბერიძეს კარგად ვიცნობ და არ მგონია, სადავო ქონება შეიძინოს. როგორც ვიცი, „კავკასუს ონლაინის“ შეძენა რუსულ კომპანია „ბილაინს“ უნდა, რომელიც ასევე, სააკაშვილის საკუთრებაა, მაგრამ ამ კომპანიას ნომინალურად, ძმები ყარამანაშვილები ფლობენ. „თურქტელეკომსაც“ სურდა „კავკასუს ონლაინის“ შეძენა, მაგრამ თურქები დამიკავშირდნენ და ამ დავაზე მკითხეს, რუსულ კომპანიას კი საერთოდ არ აინტერესებს, ეს ქონება სადავოა თუ არა. ვითხოვ, რომ საქმე გამოიძიონ, დაკითხონ ყარამანაშვილები და მაქაცარია, დამნაშავეები კი დასაჯონ! სხვათა შორის, ჩემი კომპანიის ქსელი ახლაც ისევ კონტროლდება ნაციონალების მიერ, როგორც მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს. კონფლიქტიც ამ ნიადაგზე დაიწყო: 2009 წელს, ნაციონალურმა მოძრაობამ მომთხოვა, რომ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სახლებში, რომლებიც ჩვენი აბონენტები იყვნენ, შესულიყო, მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა დაემონტაჟებინა. ეს უკანონობა და კრიმინალი იყო, რაზეც თავიდანვე უარი ვთქვი და ურთიერთობაც ამიტომ დამეძაბა. როდესაც „კავკასუს ონლაინი“, ყარამანაშვილი-მაქაცარიას საშუალებით, ხელში ჩაიგდეს, პოლიტიკურ ოპონენტებთან მოსასმენი და სათვალთვალო აპარატურა დაამონტაჟეს. როგორც ჩანს, ნაციონალურ მოძრაობას სწორედ ამ კონტროლის დაკარგვა არ სურს და „კავკასუს ონლაინის“ შეძენის სურვილი „ბილაინმა“ ამიტომაც გამოთქვა“.

პროექტი დაფინანსებულია
„ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ

ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო დოკუმენტები

მსოფლიო საზოგადოება 1990 წლიდან განსაკუთრებით აქტიურობს ოჯახში ძალადობის კანონმდებლობით დარეგულირების თვალსაზრისით და ეს პროგლემა ყურადღების ცენტრში ექცევა.

1993 წელს ვენაში გამართულ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა მეოთხე მსოფლიო კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ ქალებისა და გოგონების უფლებები „ადამიანის ძირითად უფლებათა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“.



1993 წლის 20 დეკემბერს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ეს ადამიანის უფლებათა პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც უშუალოდ ქალის წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობას ეხება და, ამავე დროს, მრავალი სხვა პარალელური პროცესებისათვის მნიშვნელოვანი ფუძემდებლური დოკუმენტიცაა. დეკლარაციის მიხედვით, „ქალის მიმართ ძალადობა“ გულისხმობს სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ქალს, მათ შორის ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მიუხედავად იმისა, ამ ქმედებას ადგილი აქვს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.

1994 წელს, დეკლარაციის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა კომისიამ ქალის წინააღმდეგ ძალადობის საკითხებზე გაეროს პირველი სპეციალური მომხსენებელი დანიშნა და დაავალა ამ ფენომენის ანალიზი, დოკუმენტურად დაფიქსირება და ქალის წინააღმდეგ ძალადობის ფაქტებზე მთავრობების ანგარიშვალდებულების საკითხის დაყენება.

1995 წელს პეკინში გამართულმა ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციამ თორმეტ სტრატეგიულ მიზანთა შორის ქალის წინააღმდეგ ძალადობის ყველა ფორმის აღკვეთაც დაასახელა და განსაზღვრა ამ კუთხით მთავრობების, გაეროს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან განსახორციელებული ქმედითი ღონისძიებები.

პეკინის სამოქმედო პლატფორმა (1995), რომელსაც საქართველოც მიუერთდა, ქალის მიმართ ძალადობის ორ ძირითად ფორმას გამოყოფს: ძალადობას, რომელიც თავს იჩენს ოჯახში და ძალადობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამუშაო ადგილზე ძალადობის, ქალთა ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის ჩათვლით. სამოქმედო პლატფორმა სახელმწიფოებს ასევე სთავაზობს მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომელთა შორისაა, თავშესაფრების მოწყობა ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც მათ გაეწევათ უფასო ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სამართლებრივი დახმარება.

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო კონვენციებსა და ადამიანის უფლებათა დოკუმენტებთან იმ სახლმწიფოების ვალდებულებას წარმოადგენს, რომლებიც ამ საერთაშორისო დოკუმენტების ხელშემკვრელი მხარეები არიან. ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის მიღება და ამოქმედება, რომელიც ასევე ქალის წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთას ეხება, წარმოადგენს ქალის უფლების დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედით ღონისძიებას.

1994 წელს საქართველო დათქმების გარეშე მიუერთდა 1979 წლის კონვენციას „ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ” (CEDAW), რითაც იკისრა ვალდებულება ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის და ისეთი პოლიტიკის შემუშავების, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

საქართველო მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით

საქართველო 134 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა. ჩვენს ქვეყანაში კიდევ ფართოდ გავრცელებული ფენომენია ადრეული

ქორწინებები, მოტაცება ქორწინების მიზნით, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ე.წ „ღირსების მკვლელობებიც“ ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35%- ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ და ეკონომიკურ ზეწოლას; საქართველო მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში სელექციური აბორტების (დაუბადებელ ბავშვთა სქესობრივი მკვლელობების) თვალსაზრისით. ტრადიციის შედეგად, რომლის თანახმადაც ბიჭის, როგორც „მემკვიდრის“ დაბადება უფრო სასურველია. ყოველწლიურად ასობით გოგონა ხდება სქესის ნიშნით ნაყოფის მუცელშივე მკვლელობის მსხვერპლი.

25 ნოემბერს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე აღინიშნება

25 ნოემბერს ცივილიზებული მსოფლიო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამავე დღეს იწყება 16-დღიანი საერთაშორისო კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სოლიდაროგის დემონსტრირებას.

ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად მნიშვნელოვანია, ვაღიაროთ პრობლემის არსებობა, გავაცნობიეროთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი გენდერული უთანასწორობაა და სწორედ ამ უთანასწორობას უნდა ვებრძოლოთ. სანამ ქალთა ხმა არ იქნება მოსმენილი გადაწყვეტილების მიღებისას, სანამ ქალები დაექვემდებარებიან შევიწროებას და უთანასწორო მოპყრობას დასაქმებისას, სანამ დავადანაშაულებთ მსხვერპლს და ამა თუ იმ მიზეზით გავამართლებთ მოძალადეს, ჩვენ ავცდებით პრობლემის მოგვარების მთავარ გზას.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველანაირი ძალისხმევა იქნეს გამოყენებული ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, შესაძლო მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის. აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენონ ყველა არსებული ბერკეტი ძალადობის შესაჩერებლად. საზოგადოებამ უნდა დაარღვიოს დუმილი და ხმამაღლა თქვას, რომ ქალთა მიმართ ძალადობა საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულია.



სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ყოველწლიურ ანგარიშში სპეციალური ნაწილი ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული მდგომარეობის შეფასებას ეთმობა. 2014 წლის ანგარიშს საფუძვლად დაედო თავშესაფრისა და ცხელი ხაზის მონიტორინგი, ოჯახში

ძალადობის შემთხვევებზე ინდივიდუალური განცხადებების შესწავლა, დამცავი და შემაკავებელი ორდერების შეფასება და ქალთა მკვლელობების მონიტორინგი.

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებისა და სახელმწიფო ცხელი ხაზის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი მიზნად ისახავდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ სამ თავშესაფარში არსებული მდგომარეობის შეფასებას და სერვისით მოსარგებლე პირების საჭიროებების გამოვლენას. ასევე ცხელი ხაზის ფუნქციონირების შეფასებას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო თავშესაფრებში მონიტორინგი პირველად ჩატარდა და მრავალი საინტერესო ასპექტიც გამოვლინდა. შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადდა სპეციალური რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სერვისის მიმწოდებლებს შესაძლებლობას მისცემს გააუმჯობესონ და დახვეწონ მომსახურება სერვისით მოსარგებლეთათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი და საჭიროებებზე მორგებული გარემოს შესაქმნელად.

სახალხო დამცველის ოფისის მიერ, ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად, ორი ტიპის შესწავლა განხორციელდა. 2013 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა შემაკავებელი და დამცავი ორდერების მოქმედების ეფექტურობა შეფასება, რომელიც ჩატარდა, როგორც თბილისში ასევე საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში. ხოლო 2014 წელს საქართველოს ყველა საერთო და მაგისტრატი სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა 2014 წელს დამტკიცებული დამცავი და შემაკავებელი ორდერების ასლები, რომელთა ანალიზის საფუძველზე მომზადდა სტატისტიკური კვლევა და გამოიკვეთა არსებული ტენდენციები.

ქალთა მკვლელობების ფაქტების შესწავლის შედეგად კი დადგინდა, რომ 2013 წელთან შედარებით 2014 წელს 62%-ით მეტი ქალი იქნა მოკლული, მათ შორის 57%-ით მეტი მეუღლის მიერ ცოლის მკვლელობის შემთხვევა მოხდა, ხოლო ოჯახში ჩადენილი დანაშაული ქალის მიმართ (მკვლელობა) 53%-ით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. „ქალთა ფემიციდის მზარდი სტატისტიკა შემაშფოთებელია და განსაკუთრებით ყურადსაღები უნდა იყოს სამართალდამცავი თუ სხვა შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურისათვის. მონაცემების დამუშავებითა და ხარვეზების გამოვლენის შედეგად უნდა შემუშავდეს პრევენციული ღონისძიებები და დანაშაულის თავიდან აცილების გზები“, აღნიშნულია სახალხო დამცველის ანგარიშში.

ეს საინტერესოა

16-18 წლამდე არასრულწლოვანთა ქორწინება მხოლოდ მოსამართლის ნებართვით იქნება შესაძლებელი

სახალხო დამცველის აპარატი ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. ომბუდსმენის საკანონმდებლო წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ 16-18 წლამდე მოზარდების სამოქალაქო ქორწინება მხოლოდ სასამართლოს თანხმობით იყოს დასაშვები.

დღეს მოქმედი კანონით 16 წელს მიღწეული არასრულწლოვნის კანონიერი ქორწინება ნებადართულია, თუ არსებობს მშობლის, ან მოსამართლის თანხმობა. სახალხო დამცველის საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ნებართვას მხოლოდ მოსამართლე გასცემს.

საკანონმდებლო წინადადება მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა დაცვას იძულებითი ქორწინებისაგან, რადგან ხშირად მშობლები არასრულწლოვნებს გარკვეული სარგებლის გამო აქორწინებენ.

ძალადობის პრევენცია და სამოქალაქო საზოგადოება

საქართველოს ისტორიის გოლო ორი ათწლეული ურთულესი საშინაო და საგარეო გამოწვევებით აღინიშნა. კონფლიქტებმა და სოციალურმა სიდუხჭირემ ხელი შეუწყო კრიმინალისა და ძალადობის მატებას.

დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სახელმწიფო ინსტიტუტები იმდენად კორუმპირებული და სუსტი იყო, რომ წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში კრიმინალური „ავტორიტეტები“ გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. სახელმწიფომ, 2003 წლის შემდეგ, მართვის სადავეები ხელში აიღო, რაც მოგვიანებით ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გატარებაში გამოვლინდა. ეს უკანასკნელი ხშირად კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის ფარგლებს სცილდებოდა და ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებებში აისახებოდა. სახელმწიფო თავად გადაიქცა მოძალადედ და შედეგად ჩამოყალიბდა ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიციური სახელმწიფო სისტემა.

2012 წლიდან, ახალმა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მიდგომა შეცვალა. კრიმინალის შემცირება არ ხდება უკანონობის, ძირითადი უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვის ხარჯზე. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის პოლიტიკა პირველ რიგში მიმართულია არა რეპრესიაზე, არამედ პრევენციაზე.

ცხადია, რომ მხოლოდ პოლიციური რესურსით ძალადობასთან და კრიმინალთან ბრძოლა საკმარის ძალისხმევას არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ძალადობის წარმოშობის ფაქტორებისა და პირობების ანალიზი, მის შემცირებაზე ყურადღების გამახვილება, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ზრუნვა და შესაბამისი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება.

ოჯახში ძალადობის, მკვლელობების, ფიზიკური ანგარიშსწორების, ჰომოფობიის თუ აგრესიის სხვა გამოხატულებები უარყოფითად ისახება საზოგადოების ნორმალურ განვითარებაზე, მისი წევრების მშვიდობიან თანაცხოვრებასა და შესაბამისად, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ წესრიგზე.

ძალადობის პრევენციის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, ამ მიმართულებით სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით; სახელმწიფო სტრუქტურების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით უნდა განხორციელდეს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ღირებულებების განმტკიცება ძალადობის დაგმობის და აქტიური მოქალაქეობის იდეის წახალისების გზით, რათა ჩამოყალიბდეს ძლიერი და პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოება.

ძალადობის სახეები

ძალადობა შეიძლება იყოს პერსონალური ხასიათის, როდესაც სახეზეა მოძალადესა და მსხვერპლს შორის სიტუაციურად განპირობებული უთანასწორო მდგომარეობა. პერსონალური ძალადობის სახეებია ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის დაზიანებაში, თავისუფლების აღკვეთაში, სხვისი სიცოცხლის ხელყოფასა და გარკვეული ნივთის განადგურებაში. ფსიქიკურ ძალადობას წარმოადგენს შეურაცხყოფა, მუქარა და დისკრიმინაცია. ამასთან, პერსონალური ძალადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი. პირდაპირია ძალადობა, რომელიც უშუალოდ მსხვერპლზე ახდენს ფიზიკურ ან/და ფსიქო—ემოციურ ზემოქმედებას. არაპირდაპირი ძალადობის მაგალითია ოჯახში ძალადობის მავნე ზემოქმედება ბავშვზე, როდესაც ძალადობის ობიექტი უშუალოდ ბავშვი არ არის, მაგრამ ძალადობა არაპირდაპირ აისახება მის ფსიქიკაზე. გარდა ამისა, არსებობს სტრუქტურული ძალადობა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენის მოხდენისა და ძალთა გადანაწილების უთანასწორო სისტემას. აღნიშნული ვლინდება როლების ტრადიციულ გაგებაში, აგრეთვე სოციალური იერარქიის გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებაში საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებისას. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ცალკეულ ინდივიდებსა თუ ჯგუფებს ხელოვნური ბარიერები ექმნებათ საზოგადოებაში ინტეგრირების გზაზე.

ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. საქართველოში იგი მჭიდრო კავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან. მას არ გააჩნია შემაკავებელი ფაქტორები. ის გვხვდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. აღნიშნული წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფოს, სამოქალაქო სექტორისა და ფართო საზოგადოების მხრიდან.

ოჯახში ძალადობა განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მას აქვს ფარული, განგრძობადი და უმეტეს შემთხვევაში განმეორებითი ხასიათი. იგი თავისი შინაარსით არის სპეციფიკური, რადგან ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

ძალადობის პრევენცია და სამოქალაქო საზოგადოება

დასაწყისი წინა გვერდზე

წევრების მიმართ, ანუ ისეთი ახლო ნათესაური კავშირების მქონე სუბიექტებს შორის, რომელთა ურთიერთობასაც მრავალი საერთო ღირებულება და უხილავი კავშირი ახასიათებს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობა ლატენტური ბუნებისაა და მის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში დახურულ სივრცეში რჩება, რაც მასთან ბრძოლის სირთულეს განაპირობებს. აღნიშნულს ემატება სოციალური სივრცის კულტურული და ეკონომიკური თავისებურებები, რაც საბოლოოდ გენდერზე დამყარებულ სოციალიზაციაში ვლინდება.

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს და თანმხლებ გარემოებას წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა და სოციალური ნორმები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციული როლების განსამტკიცებლად. აღნიშნული, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას, ემსახურება რა მამაკაცის პოზიციის წინა პლანზე წამოწევასა და საზოგადოებაში ქალის როლის დაკნინებას. შესაბამისად, ყალიბდება არაჯანსაღი ურთიერთობები, რომელსაც ახასიათებს უთანასწორობა და კონფლიქტის პოტენციალი.

ოჯახში ძალადობის უპირველეს მსხვერპლად ქალები გვევლინებიან. ამასთანავე, მოწყვლად ჯგუფს ბავშვებიც წარმოადგენენ.

ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისათვის ყველა შესაბამისი უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების უფრო მეტად ეფექტიანი განხორციელება უნდა უზრუნველყონ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა. ამასთან, საჯარო სექტორთან ერთად, აქტიური როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიასაშულებებმა, რელიგიურმა კონფესიებმა და სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, რომლებიც საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში საქმე გვაქვს მის სხვადასხვა გამოვლინებასთან. ვხვდებით ფიზიკურ აგრესიას, სექსუალურ იძულებას, ფსიქოლოგიურ-ემოციურ ზეწოლას და პირზე კონტროლის განხორციელების სხვა მცდელობებს. აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს როგორც ქორწინებაში მყოფი პირების შემთხვევაში, ასევე, ქორწინების გარეშე გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ინტიმური ურთიერთობების პირობებში. ამასთანავე, ძალადობა შესაძლოა განხორციელდეს ყოფილი პარტნიორის მიერ, ურთიერთობის დასრულების შემდგომ პერიოდშიც. აღნიშნული ტიპის ძალადობას უარყოფითი შედეგი მოაქვს ფიზიკური, მენტალური, რეპროდუქციული, ასევე სქესობრივი სიჯანსაღის თვალსაზრისით. ის იწვევს ისეთ მძიმე შედეგებს, როგორიცაა: ფიზიკური დაზიანება, დეპრესია, აშლილობა, პოსტტრავმატული სტრესი, თვითმკვლელობის მცდელობა, ჭარბი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის გამოყენება, არასასურველი ორსულობა, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები და სხვა.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები მოიცავს როგორც კულტურულ, ისე სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. კონკრეტულად კი შეიძლება დასახელდეს შემდეგი მიზეზები: მოძალადის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ურთიერთგაგების არქონა, ქალის სისუსტე და დაუცველობა, სოციალური პრობლემები, არასწორი აღზრდა, სიმთვრალე და ნარკოტიკები.

ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება — მისი ბუნებითი უფლებები (თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის ფუნდამენტური უფლებები), რაც ადამიანს დაბადებისთანავე, თანდაყოლილად გააჩნია.

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები

ძალადობას სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს:

- უმუშევრობით გამოწვეული სტრესი, რაც იწვევს დაძაბულ ურთიერთობებს ოჯახის წევრებს შორის;
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, რის გამოც, შესაძლოა, ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან;
- ქალების მზარდი ეკონომიკური აქტივობა და მამაკაცის მიერ მეუღლის დამოუკიდებლობის საფრთხედ აღქმა;
- წარსულში (ბავშვობაში) განცდილი ძალადობა, რის გამოც შემდგომში თავადაც ხდებიან მოძალადეები;
- ტრადიციული წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ;
- ძალადობის გაგება პრობლემის გადაჭრის მიღებულ მეთოდად. მაგ., მშობლები, შესაძლოა, ასეთ ქმედებებს აღიარებენ ბავშვის აღზრდის საუკეთესო საშუალებად;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა პასიური როლი: ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკაში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. აღნიშნული იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ ადამიანად.

ოჯახში ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით

ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგნების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემას. ცხადია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ ინსტიტუციის თანაბარი ჩართულობა, რომელთა არსებობა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. შესაბამისად, საჭიროა:

- სკოლის მოსწავლეთათვის დემოკრატიისა და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისა და კომპრომისის მიღწევის, მეთოდების ჩათვლით;
- მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების სწავლება. აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლებასთან დაკავშირებით მშობლების ან მათი უფლებამონაცვლეების კანონმდებლობით

გათვალისწინებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მათთვის ოჯახში ძალადობის გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების გაცნობა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ძალადობის იდენტიფიცირება და ძალადობის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება;

- ე. წ. ოჯახური პედაგოგიკის მეშვეობით, მოსწავლეებმა უნდა მიიღონ ცოდნა თანასწორუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში. თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები. ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისაგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისათვის;
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მშობლებისთვის მოეწყოს სავალდებულო სემინარები (თუნდაც მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებების მოწმენი არიან.

ოჯახში ძალადობის პრევენციის სხვა საშუალებები

გარდა სწავლებისა, არსებობს ოჯახში ძალადობის პრევეციისა და მართვის სხვა მრავალი საშუალება. მისი სწორად განსაზღვრა და გამოყენება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა ოჯახში ძალადობის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

- ოჯახში ძალადობის პრევენციის უმნიშვნელოვანეს პუნქტს წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური დასჯის დაგმობა. საჭიროა მშობლებისათვის იმ გარემოების შეხსენება, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება ნამდვილ აღმზრდელობით მიზნებს. ამ შეგნების ჩამოყალიბებაში სასკოლო ღონისძიებების გარდა მნიშვნელოვანია მედიის როლი შესაბამისი ვიდეორგოლების, გადაცემებისა თუ სიუჟეტების მეშვეობით. მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი, რომლებიც ინსტიტუციურად ყველაზე ახლოს დგანან რიგითი მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან;
- ოჯახში ძალადობის პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლას უნდა შეექმნას შესაბამისი წინაპირობები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რაციონალურად წარმართვის მეშვეობით. შესაბამისად, საჭიროა შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზება;
- აუცილებელია საინფორმაციო კამპანიის შემდგომი წარმართვა საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად. აღნიშნულში სპეციალიზებული უნდა იყოს ცალკეული სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. ეს თავისებურებები შეიძლება იყოს კუთხურობა, ეთნიკური კუთვნილება, რელიგიური აღმსარებლობა ან სხვა შეხედულება თუ სხვა ინდივიდუალური ფაქტორები. კამპანიის განხორციელებაში კი საჯარო სექტორთან ერთად აქტიური როლი უნდა შეასრულოს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რელიგიურმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.
- კულტურული ღირებულებების ხელახლა გასააზრებლად, მიზანშეწონილია მედიაკამპანიის აქტიური წარმოება, რომლის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია მიმდინარე ფაქტების სწორი შეფასება.

იზოლაციის დაძლევის და ცნობიერების ამაღლების პარალელურად, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი მოქალაქეთა ნდობის და პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება. ამ კუთხით, აუცილებელია საზოგადოების მომზადება პრობლემის აღიარებიდან თანამშრომლობამდე, რომლის მისაღწევად არსებითია სამოქალაქო სექტორის გააქტიურება.

ეს საინტერესოა

2015 წლის 6 თვეში ოჯახში ძალადობის 1482 ფაქტი დაფიქსირდა

საქსტატის მონაცემებით, მსხვერპლს შორის 1286 ქალია, 196 კი - მამაკაცი. რეგიონების მიხედვით, თბილისში ძალადობის მსხვერპლი 505 ქალი და 45 მამაკაცი გახდა. იმერეთის რეგიონში ძალადობის მსხვერპლი 6 თვეში, 216 ქალბატონი და 42 მამაკაცი იყო; კახეთში 154 ქალი და 67 მამაკაცი; ქვემო ქართლში 102 ქალი და 9 მამაკაცი.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეების გადანაწილებას ასაკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ძალადობის მსხვერპლი 25-44 წლის ადამიანები ხდებიან. კერძოდ, ძალადობის მსხვერპლი 766 პირი სწორედ 25-44 წლის ასაკის იყო. მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში 17 წლამდე ადამიანებზე ძალადობის 46 შემთხვევა დაფიქსირდა. 17-24 წლის ასაკის პირებზე ოჯახში ძალადობის 178 შემთხვევა დაფიქსირდა.

სახალხო დამცველის აპარატი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს სახალხო დამცველის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აღნიშნული მიმართულებით დასახული მიზნების მისაღწევად შეიქმნა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ მუშაობს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე. საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ განცხადებასა და საჩივარს იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის:

ა) საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებას;

ბ) სასამართლო განხილვის პროცესში

საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ან დარღვევას;

გ) დაკავებული, დაპატიმრებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებებისდარღვევას;

დ) ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან შესაბამისობას;

ე) რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობას; საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს არ განიხილოს განცხადება ან საჩივარი, რომლის თაობაზეც მასმიღებულიჰქონდა გადაწყვეტილება, თუ არ წარმოიქმნა ახალი გარემოებანი.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ განცხადებისა და საჩივრის განხილვამ არ შეიძლება დააბრკოლოს ანალოგიური განცხადების ან საჩივრის განხილვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციაში (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, 14-ე მუხლი).

საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას. ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არ განხორციელდა სათანადო რეაგირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, მსხვერპლს შეუძლია მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, რის შემდეგაც საქმისწარმოებას გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი დაიწყებს.

ვის შეუძლია მიმართოს გენდერული თანასწოროგის დეპარტამენტს?

საქართველოს მოქალაქეს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა მათი უფლებები გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, ან მესამე პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა სავარაუდო დარღვევის შესახებ, შეუძლიათ მიმართონ სახალხო დამცველს განცხადებით ან საჩივრით. შესაბამისად, შეტყობინება ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ, შესაძლებელია მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატის თბილისის და რეგიონულ ოფისებს ადგილზე, სატელეფონო ზარის მეშვეობით, ფოსტით, მათ შორის ელექტრონული ფოსტით, თავად მსხვერპლის ან მესამე პირის მიერ, ვისთვისაც ცნობილი გახდა ამ ფაქტის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი შესაძლო მსხვერპლს დაეხმარება შესაბამის უწყებებთან კოორდინაციაში, მათ შორის თავშესაფარში განთავსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დეპარტამენტის მიერ დაინტერესებულ პირთათვის გაწეული სამსახური უფასოა.

თუ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს პირად, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, აღნიშნული ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე არ იქნება ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის.

როგორია საჩივრის/განცხადების განხილვის ვადები?

სახალხო დამცველი განცხადების ან/და საჩივრის განხილვისას არ არის შეზღუდული დროში. განცხადების განხილვისთვის საჭირო დრო დამოკიდებულია მასში დაფიქსირებული პრობლემის შინაარსსა და სირთულეზე.

სამართლებრივი მექანიზმები ოჯახში ძალადობის აღსაკვეთად

ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები.

სისხლის სამართლებრივი მექანიზმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას. მისი მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

ოჯახში ძალადობა ანუ ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით. თუ ოჯახში ძალადობა ჩადენილია ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, ოჯახის რამდენიმე წევრის მიმართ, პირთა ჯგუფის მიერ ან არაერთგზის, ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ორას საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით – ერთ წლამდე *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლი)*.

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ასევე გამოიყენება სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ნიშნების შემთხვევებშიც, როგორიცაა: ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის: განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, გაუპატიურება, გარყვნილი ქმედება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, უკანონო მოთავსებაან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იძულება, მუქარა, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივქმედებაში, პროსტიტუციაში ჩაბმა, პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონო დამზადება ან გასაღება, არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიულინაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლი)*.

ოჯახში ძალადობისგან დაცვის მექანიზმები

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქოკანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად: არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

ჩანართი მომზადებულია ჟურნალისტ სვეტა ამბროლაძის მიერ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რეკორდულის გარდა, წლევანდელი რთველი ყურძნის ხარისხიანი მოსავლითაც გამოირჩეოდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, 2015 წლის რთვლის შედეგები შეაჯამა. მისი თქმით, კახეთისა და რაჭის რეგიონებში რთველი ორგანიზებულად ჩატარდა. 27 ოქტომბრის მონაცემებით, 143 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა. ყურძნის რეალიზაციის შედეგად, მოსახლეობის შემოსავალმა 102 მილიონ ლარს გადააჭარბა. მინისტრის განმარტებით, ღვინის საწარმოებში ყურძენი 18 000-ზე მეტმა მევენახემ ჩააბარა. უკვე გადამუშავებულია 78 400 ტონა „რქაწითელი“, 45 100 ტონა „საფერავი“, 3 030 ტონა „კახური მწვანე“ და 15 000 ტონაზე მეტი სხვა ჯიშის ყურძენი. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონს, გადამუშავდა 1 500 ტონამდე ყურძენი, მათ შორის, 1 325 ტონა ალექსანდროული და მუჯურეთული. რაჭის მოსახლეობის შემოსავლებმა 6.6 მილიონი ლარი შეადგინა.

143 000 ტონაზე მეტი გადამუშავებული ყურძენი და 102 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი — „რთველი 2015“ დასრულდა

რეკორდული მოსავლის გარდა, „რთველი 2015“ მაღალი ხარისხის ყურძნის მოსავლითაც გამოირჩეოდა, რის გამოც წელს განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ღვინო დაიწურება. „ვერსიას“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, **გიორგი სამანიშვილი** ესაუბრება.

— „რთველი 2015“ უკვე დასრულდა, რომელიც გამორჩეული იყო. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, წელს რაოდენობრივად გაცილებით მეტი მოსავალი იყო, მაგრამ ხარისხის თვალსაზრისითაც, გამორჩეულად ხარისხიანი ყურძენი დაიკრიფა. სეზონზე კარგი ამინდის გამო, ყურძენიც კარგად დამწიფდა და შესაბამისად, წლევანდელი ღვინოც გამორჩეული იქნება. რაც მთავარია, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, რთველი ორგანიზებულად ჩატარდა. გადაუმუშავებელი ყურძენი არ დარჩენილა, რის გამოც ყველა კმაყოფილია.

— ბატონო გიორგი, კარგი ამინდის გარდა, რამ განაპირობა, რომ წელს საკმაოდ ხარისხიანი ყურძნის მოსავალი იყო?

— სხვათა შორის, კახეთშიც და რაჭაშიც საკმაოდ ხარისხიანი ყურძნის მოსავალი იყო. მევენახეები დაინტერესებულები არიან, რომ ვენახს უფრო უკეთ მოუარონ და ამიტომ, წელს საკმაოდ კარგად მოვლილი ვენახები ჰქონდათ, ვიდრე თუნდაც 10 წლის წინ. გარდა იმისა, რომ კახეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ახალი ვენახები გაშენდა, გლეხები ძველ ვენახებსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ, უფრო მეტად უვლიდნენ, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანდა. თუმცა გადამწყვეტი მაინც ამინდია და მიუხედავად იმისა, რომ წელს ცხელი ზაფხული იყო, აგვისტოში წვიმებმა სულზე მოგვისწრო. სექტემბერსა და ოქტომბრის დასაწყისში კი მზიანი, მაგრამ გრილი ამინდი იყო, რის გამოც ყურძენი კარგად დამწიფდა. რაც შეეხება რაჭას, ბოლო 15 წელია, რთვლის პროცესში ვარ ჩართული და ამ ხნის მანძილზე არ მახსოვს, რომ რაჭაში ყურძენი ასე კარგად დამწიფებულიყო. ფაქტობრივად, სიმწიფის პრობლემა არ ჰქონია ალექსანდროულსა და მუჯურეთულს (ხვანჭკარას ჯიშები). წინა წლებში, რაჭაში 300-დან 500 ტონამდე ალექსანდროული და მუჯურეთული მოდიოდა, მაგრამ ბოლო წლებში, ამ ყურძნის ჯიშების რაოდენობამ მოიმატა. შარშან 900-დან 1 000 ტონამდე, ხოლო წელს 1 300 ტონა მოსავალი ავიღეთ. დაბალხარისხიანი ჯიშები, რაც წინა წლებში პრობლემას ქმნიდა, ფაქტობრივად, გაიჩეხა და მხოლოდ კარგი ჯიშის ყურძენი გაშენდა.

— გლეხები და ფერმერები კონსულტაციებს გადიოდნენ და წელს ვენახებს განსაკუთრებით კარგად ამიტომ მოუარეს?

— რაჭასა თუ კახეთში, მევენახეები გამოცდილ სპეციალისტებს ქირაობენ, რომლებიც კონსულტაციას უწევენ, თუ როგორ მოუარონ ვენახებს, როდის უნდა გასხლან ვაზი. რა თქმა უნდა, ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები უფრო განვითარდა, რაც ამ ბაზრის დამსახურებაა. ღვინის ეროვნული სააგენტო მათ გაყიდვებში ეხმარება. ჩვენი დახმარების შედეგად, გაყიდვებიც გაიზარდა, რის გამოც ფერმერებსა და გლეხებს ინტერესი გაუჩნდათ, ხარისხიანი ღვინო ეწარმოებინათ. გაყიდვებთან ერთად, ქართული ღვინის ცნობადობაც იზრდება და მევენახეებიც უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი, რომ უფრო ხარისხიანი ყურძენი აწარმოონ.

— ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშები ახსენეთ, რომლებიც რაჭაშია გავრცელებული, თუმცა კახეთში საფერავი, რქაწითელი, მანავის მწვანეა ცნობილი ჯიშები. რას აკეთებს ღვინის ეროვნული სააგენტო, რომ ქართული ყურძნის უნიკალური ჯიშები არ დაიკარგოს და განვითარდეს?

— საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, ჯიშური მრავალფეროვნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა. გარდა იმისა, რომ საქართველო ღვინის უძველესი ქვეყანაა, ადგილობრივი ჯიშებიც გვაქვს, რომლებიც აქ აღმოცენდა, აქაურ კლიმატს და გარემოსაა შეგუებული და მათი მოვლის ადგილობრივი მეთოდებიც გაგვაჩნია. ამ მხრივ, სახელმწიფო დიდ საქმეს აკეთებს, პირველ რიგში, ადგილობრივი ჯიშები შევინარჩუნეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ჯიში გადავარჩინეთ, რომლებიც ახლა დაცულია. ღვინის ეროვნული სააგენტო ამ ჯიშების პოპულარიზაციას უწყობს ხელს და აქცენტს ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებაზე აკეთებს. ამან განაპირობა, რომ 99%-ის შემთხვევაში, საქართველოში, მხოლოდ ადგილობრივ, ქართულ ჯიშებს ვიყენებთ. მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული ჯიშები დარაიონებულია, თითოეულ რაიონს თავისი უნიკალური ჯიშები გააჩნია. რადგან კახეთით დაინტერესდით, აქ გვხვდება რქაწითელი, მწვანე, საფერავი და ასე შემდეგ, ზოგადად, კახეთში 80-მდე ჯიშია ცნობილი. ალექსანდროული, მუჯურეთული და რაჭული თეთრა — რაჭაშია გავრცელებული, ლეჩხუმში — უსახელოური, ცოლიკოური და ორგველური ოჯალეში, სამეგრელოში — ოჯალეში, გურიაში — ჩხავერი, ქართლში — ჩინური, შავკაპიტო. საბედნიეროდ, დღეს, ღვინის სახით, ყველა ეს ჯიში ბოთლშია ჩამოსხმული, რომელთა დაგემოვნება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ზოგადად, ქართული ყურძნის ჯიშების პოპულარიზაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტია.

— როგორც ბრძანეთ, წელს გამორჩეულად ხარისხიანი ღვინო გვექნება, მაგრამ რუსეთსა და უკრაინაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, ექსპორტი ხომ არ შეფერხდება?

— მართალია, 2015 წელს, ღვინის ექსპორტის კლება დაფიქსირდა, მაგრამ 2014 წელს, ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. განსაკუთრებით, 2013 წლის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთის ბაზარი გაიხსნა. მართალია, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილი პრობლემები ღვინის ექსპორტზეც აისახა, მაგრამ ბოლო წლების მონაცემებს თუ გადავხედავთ, ღვინის ექსპორტი მზარდია და ეს ტენდენცია აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, ღვინის ექსპორტის სიმცირე დაფიქსირდა, ვიდრე 2014 წელს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაინც პოზიტიური შედეგი მივიღეთ. თუ ეს ტენდენცია 2016 წელსაც გაგრძელდება, რაც ექსპორტის რაოდენობის ზრდაში გამოიხატება, ძალიან კარგი იქნება. მთავარია, ბაზრების დივერსიფიკაცია გაგრძელდეს, რათა ერთ, კონკრეტულ რეგიონზე დამოკიდებულები არ ვიყოთ და ეს 2016 წელსაც გაგრძელდება. იმ სტრატეგიულ ბაზრებზე ვიაქტიურებთ, რომლებიც კერძო სექტორთან ერთად განვსაზღვრეთ, მაგრამ ეს მხოლოდ სახელმწიფოს აქტივობა არ არის, ერთობლივი პროცესია, რომელშიც ღვინის მწარმოებლები, სარეალიზაციო კომპანიები და სახელმწიფოა ჩართული. 2016 წელს, პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება ექსპორტის ზრდა აშშ-ში, ჩინეთში, დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში, რასაც ბალტიისპირეთის ქვეყნები და იაპონიაც დაემატება, სადაც აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს განვახორციელებთ.

— კონკრეტულად რომელ ქვეყნებში აპირებს ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციას?

— ჩვენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მივიღებთ მონაწილეობას, მათ შორის, გამოფენებზე, პრეზენტაციებზე, დეგუსტაციებზე. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში გამოფენები საკმაოდ საინტერესოა და გაყიდვების ზრდის თვალსაზრისით, მათში მონაწილეობა საკმაოდ კარგად მუშაობს, აშშ-ში პრეზენტაციებია გაცილებით საინტერესო და უფრო მეტი მუშაობა დაგვჭირდება ღვინის სპეციალისტებთან, რათა ამერიკელებს ქართული ღვინო გააცნონ. იმ პრიორიტეტულ ბაზრებზე, რომლებიც უკვე ჩამოგითვალეთ, ექსპორტის გარდა, სწორედ ამ მიმართულებითაც ვიმუშავებთ. პარალელურად, ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებასა და გამოგენაში მივიღებთ მონაწილეობას, რათა მსოფლიო მომხმარებლებმა იცოდნენ, რომ ქართული ღვინო არსებობს, რომელიც განსაკუთრებულია.

— ბატონო გიორგი, აზიის ბაზარი ქართული ღვინის ექსპორტისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მიმზიდველი გახდა. თქვენი აზრით, რატომ გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი აზიაში?

— ევროპასთან შედარებით, აზიის ბაზარზე ღვინოს ნაკლებად მოიხმარენ, მაგრამ ეს ბაზარი მზარდი სწორედ ამიტომაცაა. აზიის ბაზარზე აქტიურად მუშაობენ მსოფლიოში ცნობილი, ღვინის მწარმოებელი ქვეყნები, მათ შორის, საფრანგეთი, იტალია, ჩილე. მართალია, რაოდენობრივად ქართული ღვინო ამ ქვეყნებს ჩამორჩება, თუმცა ამ ბაზარზე ჩვენს ნიშას მაინც ვპოულობთ, რასაც ჩვენი აქტიურობით ვახერხებთ. არ იფიქროთ, რომ აზიის ბაზარზე დიდი კონკურენცია არ არის, პირიქით, მთელ მსოფლიოს სურს, რაც შეიძლება მეტი ღვინო გაყიდოს ამ ბაზარზე, რისთვისაც საქართველოსთან შედარებით, გაცილებით დიდ თანხას ხარჯავენ. თუმცა ჩვენი აქტივობითა და პროდუქტის ხარისხით ვახერხებთ, რომ ამ ბაზარზე ჩვენი ადგილი დავიკავოთ. შედეგად, ჩინეთი ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების ხუთეულში შედის პოლონეთთან ერთად. ჩინეთში ქართული ღვინის გაყიდვები იზრდება და ეს ტენდენცია წელსაც მზარდია.

***

კომპანია „თბილღვინოს“ ძმები, ზურაბ და გიორგი მარგველაშვილები ხელმძღვანელობენ. მეშვიდე წელია, „თბილღვინო“ ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია ღვინის მწარმოებელ კომპანიებს შორის საქართველოში. კომპანია 30-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს მაღალხარისხიანი ქართული ღვინის ექსპორტს. „ვერსია“ „თბილღვინოს“ გენერალურ დირექტორს, **ზურაბ მარგველაშვილს** დაუკავშირდა, რომელმაც „რთველი 2015“ შეაჯამა:

— ჩვენმა კომპანიამ საჭირო რაოდენობის რქაწითელი და საფერავი შეიძინა. რა თქმა უნდა, ვცდილობთ, მაღალი ხარისხის ყურძენი შევიძინოთ, თუმცა ჯიშსაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. უხარისხო ყურძენს ვერ ჩავიბარებთ, რადგან ჩვენი კომპანიის საფუძველი, მხოლოდ მაღალხარისხიანი ქართული ღვინის წარმოებაა.

— ბატონო ზურაბ, ყურძნის ჩაბარებისას, მევენახეებს თქვენს კომპანიაში პრობლემა ხომ არ შექმნიათ?

— არა, მაგრამ პრობლემა არც რთვლის დასაწყისში ყოფილა. 20-30 გაღიზიანებული ადამიანის პროტესტი ამინდს არ ქმნის, თუმცა აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს. ამის მიუხედავად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საპროტესტო აქციაზე გასული რამდენიმე მევენახე, კახელი მევენახეების განწყობას გამოხატავდნენ. ზოგადად, გლეხი ყოველთვის რეალისტია, მან კარგად იცის, რომ შარშან ყურძნის არარეალური ფასი დაფიქსირდა, რადგან რუსეთის ბაზრის გახსნის გამო, ყველამ ყურძნის მოყვანა გადაწყვიტა. შესაბამისად, ბევრი ახალბედა ფიზიკური, თუ იურიდიული პირი გაჩნდა, რომლებმაც ყოველგვარი გამოცდილების გარეშე, ყურძნის შეძენა დაიწყეს. სწორედ ამის გამო შეიქმნა ის აჟიოტაჟი, რამაც ყურძნის ფასი არარეალურად გაზარდა. წელს კი პირიქით, ყურძენი რეალურ ფასად გაიყიდა.

— თქვენი აზრით, ჩინეთში ქართული ღვინის ექსპორტის ზრდა რამ განაპირობა?

— ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით ჩინეთში ქართული ღვინის გაყიდვებს და შესაბამისად, სტატისტიკაც დადებითი გვაქვს. რაც შეეხება გავრცელებულ აზრს, რომ ჩინეთი ღვინის მომხმარებელი ქვეყანა არ არის, ამას არ ვიზიარებ, რადგან ღვინის მომხმარებელია ყველა ის ქვეყანა, სადაც თუნდაც მცირე რაოდენობის ღვინო იყიდება. შესაბამისად, მე და თქვენ, ჩინელების მაგივრად ვერ ვიმსჯელებთ, არიან თუ არა ისინი ღვინის მომხმარებლები. მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ჩინეთი ერთ-ერთი, ყველაზე მზარდი ღვინის იმპორტიორი ქვეყანაა. გარდა ამისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობა საკმაოდ ინტენსიურად მოგზაურობს და ტურიზმში კარგად გათვითცნობიერებულები არიან. შესაბამისად, მათ საშუალება აქვთ, დააკვირდნენ, რომ ღვინო ყველაზე მოხმარებადი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც კარგად ცხოვრების ერთ-ერთი, თანმხლები ატრიბუტია. ამის გამო, წლების წინ, ჩინელებს გაუჩნდათ სურვილი, რომ ღვინის მოხმარება ინტენსიურად დაეწყოთ, რის გამოც ამ ქვეყანაში ღვინის იმპორტი იზრდება.

როგორ ექცევიან „ქათმებს“ საფრანგეთის ციხეში

ქართველი კრიმინალის 2-წლიანი „ფრანგული გასტროლის“ ქრონიკა

პატიმარი №0578

კახა კახიშვილმა სასჯელაღსრულების სისტემაში არცთუ ურიგო ცვლილებები განახორციელა და კანონის ფარგლებში, მაქსიმალურად ცდილობს, ციხე ხელიდან არ გაექცეს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ევროპულ ციხიდან ქართული სასჯელაღსრულება, ჯერჯერობით მაინც, ძალიან შორსაა. ძნელია თქმა, ჩვენთან ოდესმე მოხერხდება თუ არა იმის გაკეთება, რაც ევროპაშია, რადგან ამის მცდელობაც არ ჩანს. შესაძლოა, ვინმე შემედავოს, როგორ არ ცდილობენო, მაგრამ...

ლექსო ა. ქართველი სამართალდამცავებისთვის კარგად ცნობილი კრიმინალი იყო და შეიძლება ითქვას, ამოისუნთქეს კიდეც, როცა ევროპაში წავიდა. რა თქმა უნდა, ძველი ხელობა არც იქ დაავიწყდა და მაშინ, როცა საქართველოსკენ მოდიოდა, 300 ათასი ევრო მოჰქონდა. დააკავეს და სამი წლით ჩასვეს. სამი წელი კი, საბოლოოდ, ორი გახდა და... ლექსო საქართველოში მალე დაბრუნდა. აქ კი, იქაურ ციხეში დაგროვილი ფულით, პატარა მაღაზია გახსნა და ახლა მაღაზიის წინ ზის, მზესუმზირას აკნატუნებს და ვითომც არაფერი, ცხოვრობს.

„ლექსოს გაუმარჯოს. მოკლედ, შენ იქაური და მე აქაური ციხე არ გავაციეთ. როგორ ხარ, ძმობილო? კარგად აეწყოო, მითხრეს“, — ყოფილი პატიმარი №0578 ბავშვობის მეგობარს მიესალმა.

„რა ვიცი, ვარ რა. დავბერდი, ბიჭო... მთელი დღე „სემიჩკა“ და სიგარეტი, ეს არის ჩემი გასართობი. დავიღალე, მართლა დავიღალე, ამის დედაც... შენ როგორ ხარ? გავიგე, აქაურ ციხესთან შედარებით, მე იქ სამოთხეში ვყოფილვარ“, — გაეცინა ლექსოს.

„ჰოდა, შენ თავად დაიწყე იმაზე საუბარი, რისთვისაც მოვედი. ეგ მაინტერესებს სწორედ — საფრანგეთის პენიტენციალური სისტემა... თან საკმარისზე მეტი იჯექი, რა იყო, როგორ იყო, რას გაჭმევდნენ, რამდენჯერ გცემდნენ, ზოგადად, მაყურებლები, ქურდები...“ — გაუღიმა №0578-მა.

„არა, ძმაო, სად არის საფრანგეთის ციხეში ქურდი? იქ გავიგე, რომ თურმე, „ბარიგა“ მაგარი ტიპია და ის, ვინც წამალს ან პლანს ყიდულობს, გოიმი“, — თქვა ლექსომ.

„ეგ როგორ?!“ — გაოცდა №0578.

„როგორ და, მარტივად. ტიპს, რომელიც წამალს ან პლანს ყიდის ზონაზე, ე.ი. იმის ერთი ადგილი აქვს, ეს თემა გაამწვანოს. შენ კიდევ არ გაქვს მაგის თავი და იძულებული ხარ, იყიდო, გოიმი ხარ, რა. რეზო ლორთქიფანიძე ხომ იცი, კანონიერი ქურდი, მგელია, რა, ტიპი და იქ იჯდა. თავის ამბავში კი ცხოვრობდა ქურდულად, იყვნენ იქ ქართველებიც და უდიდეს პატივს სცემდნენ, მაგრამ ის, რომ ქურდია და მთელ ზონას აკონტროლებს, ასე არ არის. ძირითადად, არაბები სხედან, ფერადკანიანები, მაგრამ გაფრანგებულები“, — ლექსო მშვიდად საუბრობდა.

„ცემა-ტყეპა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არა, რა ცემა-ტყეპა. დილით, როცა კამერას გიღებს ოფიცერი, გესალმება და გეუბნება „ბონჟუღ“. შენ წევხარ და უნდა გაინძრე, რომ მიანიშნო, ცოცხალი ხარ. თუ არ გაინძრევი, შემოდის და დაგხედავს. ერთხელ, ერთი პატიმარი არ გაინძრა, ღრმად ეძინა, შევიდა ეს ოფიცერი და პატიმარმა ახლადგაღვიძებულზე შემოარტყა. ოფიცერმა ადმინისტრაციაში უჩივლა, პატიმარმა დამარტყაო. თავის მხრივ, პატიმარმა ახსნა, რატომაც დაარტყა, ახლადგაღვიძებულზე შემეშინდაო და ასე მშვიდად მოგვარდა ეს ამბავი“, — გაიღიმა ლექსომ.

„საჭმელი?!“

„კვირა დღეს მოაქვთ ფურცელი, რომელსაც არჩევ და წერ, რას შეჭამ მომავალ კვირას. ისე არ არის, რომ დელიკატესები შეუკვეთო, მაგრამ შეგიძლია, დაწერო პიცა, შემწვარი ქათამი, დესერტად ნამცხვარი ან იოგურტი. ხილი მუდმივად დევს, ჭამე, რამდენიც გინდა. თუ ჭკუით იქნები, ფულსაც იშოვი და ვადაზე ადრეც გამოხვალ“, — თქვა ლექსომ.

„ფულს ციხეში?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„ჰო, ციხეში. ათასი სამუშაოა. მაგალითად, მომღერლები რომ დისკებს უშვებენ, ციხეში მოაქვთ შესაფუთად. პატიმარი იაფი მუშახელია. ტიპები იყვნენ, ას ევრომდე ადიოდნენ დღეში, იცოდნენ და სწრაფად აკეთებდნენ. მეც წავიმუშავე, მაგრამ დღეში ოც ევროს ვერ ავცდი. ტიპი იჯდა, სამი წელი დაამთავრა და რომ გავიდა, ანგარიშზე 26 ათასი ევრო ედო. რაც შეეხება ვადაზე ადრე გათავისუფლებას, როგორც კი მოგისჯიან, მაგალითად, ორ წელს, ციხეში, ერთი თვე თუ არაფერი დააშავე, ადმინისტრაციას ცვლილება შეაქვს და მომდევნო თვეში უკვე სამ დღეს გჩუქნის, მერე თუ კიდევ არაფერი დააშავე, ისევ გიკლებს და საბოლოოდ, თვეში ერთ კვირას გჩუქნიან. ეს მესამე თვის თავზე ხდება ანუ სამი თვე თუ არაფერი დააშავე, მეოთხე თვე და ყოველი მომდევნო თვე სამკვირიანია. ერთი წელი თუ გავიდა და ისევ არაფერი გაქვს დაშავებული, ისევ ადმინისტრაცია გაძლევს რეკომენდაციას და დარჩენილ სასჯელს გინახევრებენ. რეალურად, იქ რომ ათი წელი მოგისაჯონ, ჭკუით თუ იქნები, სამ წელში გარეთ ხარ. ჰო, ერთი წლის მერე შვებულება გეკუთვნის სამდღიანი. თუ გაიქეცი და არ დაბრუნდი, როცა დაგიჭერენ, დარღვევას ჩაგიწერენ და ზუსტად იმდენს გიმატებენ, რამდენიც გარეთ იყავი. თავიდან კარგად ვიქცეოდი, სამი თვე ყველაზე წესიერი პატიმარი ვიყავი, მერე ტელეფონი დამიჭირეს და მაგაზე მომიხსნეს ერთკვირიანი შეღავათი. სამი თვე ისევ პატიოსნად და მერე ისევ ტელეფონზე დამიჭირეს. ამან გამაწვალა, თორემ უფრო ადრე გამოვიდოდი“, — გაიცინა ლექსომ.

„და იქ ტელეფონები არ იყო?!“ — გაოცდა №0578.

„როგორ არ იყო, დილის შვიდიდან საღამოს შვიდამდე მიდი და ილაპარაკე, რამდენიც გინდა, მაგრამ იქაური ტელეფონები ძვირია, თან ისმინება. მობილურს კი იგივე წამლის ბარიგა 150 ევროდ შემოატანინებს და გაქვს, რა. ჰოდა, მაგ ტელეფონზე დავიწვი ორჯერ“, — დანანებით გადააქნია თავი ლექსომ.

„და ტელევიზორი? მაცივარი? სარეცხი მანქანა?!“ — არ მოეშვა №0578.

„ყველაფერი დგას. თუ შენთვის გინდა, რომ გქონდეს, კამერაში, ტელევიზორში თვეში 18 ევრო უნდა გადაიხადო, მაცივარში — ოთხი. მოკლედ, ფული თუ გაქვს, ყველაფერი გაქვს და რაც მთავარია, გაქვს ოფიციალურად. საერთო სამზარეულოა, სადაც შეგიძლია საჭმელი მოამზადო შენთვის. ჩემი კულინარიული შესაძლებლობები კი იცი შენ და ამიტომ, სამზარეულოში კვირაში ერთხელ კვერცხს თუ შევწვავდი, თორემ დანარჩენი ციხის ადმინისტრაციას მოქონდა, რასაც დავუწერდი. სიგარეტი ადგილზე 7.40 ევრო ღირდა, ბარიგა კიდევ ბლოკს 50 ევროდ ყიდდა. ამიტომ, გარეთ იმ ბარიგის ანგარიშზე ას ევროს ვარიცხინებდი და ორ ბლოკს ვართმევდი. პლანსაც მაწევინებდა ხოლმე. მთავარია, ბარიგა არ მიხვდეს, რომ შეიძლება, კლიენტი გახდე. ერთხელ თუ იყიდე, მერე დაემშვიდობე, არ მოგცემს, გაყიდინებს. მაგალითად, სიგარეტი თუ გამითავდებოდა, არ მაძლევდა, პლანი მოწიეო, მეუბნებოდა ანუ, რეალურად პლანი უფრო ძვირი ღირდა, მაგრამ იმის კლიენტი არ ვიყავი და ამით გაიძულებდა, გარეთ ფული გეჩალიჩა და სიგარეტი გეყიდა. საკნები სამარტოოა ანუ მარტო ხარ, ხის კარი აქვს, რკინისა თრგუნავს ადამიანსო, ოღონდ ისეთი კარი კი არ არის, წიხლი მიარტყა და გაანგრიო, მყარად არის შეკრული, მაგრამ ხისაა, რა. თუ ძალიან ჭირვეული ხარ, ადმინისტრაციას შეუძლია, კამერის კარი არ გაგიღოს და ეს თუ სამი დღე გაგრძელდება, მერე უნდა განმარტოს, რატომ გაატარა ასეთი მკაცრი ზომები. მოკლედ, თუ ხიშნიკი არ ხარ, იქაურობას მშვიდად გაუძლებ და ადრეც გამოხვალ“, — დაასრულა მონოლოგი ლექსომ.

„და წასვლა ისევ გინდა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არა, არ მინდა. სასჯელის ვადა რომ ამომეწურა, დამანარუშნიკეს და დეპორტით გამომიშვეს. რეისი პარიზი-მიუნხენი-თბილისი იყო. მიუნხენში რომ ჩავფრინდი, მითხრეს, შეგიძლია თავშესაფარი მოითხოვო, ექვსი თვე ლტოლვილთა ბანაკში იქნები, მერე მუშაობის უფლება გექნებაო, მაგრამ დავიღალე რა, მართლა დავიღალე, აღარ მინდოდა არც საფრანგეთი და არც — გერმანია, ევროპა აღარ მინდოდა რა. აქ ქართული ლაპარაკი მაინც მესმის. საღამოს, გერმანულთან შედარებით, ამ ნაგავს ვსვამ, ჩვენ რომ ლუდს ვეძახი, მაგრამ ეს გემოც მონატრებული მქონდა, დამიჯერე“, — ჩუმად თქვა ლექსომ.

„ჰო, მართლა... ქურდი და მაყურებელი არ არის და „საქათმე“ თუ არის ფრანგულ ციხეში“, — ბოლო კითხვა დაუსვა №0578-მა.

„არის. ასეთი პატიმრები გადაკეტილი ჰყავთ, ისინი ამას თავად ითხოვენ. როცა ზონაზე ხმაური ატყდებოდა და პატიმრები ღრიალს იწყებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოძალადე მოიყვანეს. ის, ვინც აუპატიურებდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის აუპატიურებდა, დიდს თუ პატარას, გარეთ თუ ჩაუვარდებოდათ პატიმრებს, საუკეთესო შემთხვევაში, რამეს მოაჭრიდნენ, ძირითადად კი, ხოცავდნენ, ამიტომ თავად ითხოვდნენ გადაკეტილში ყოფნას...“

„ახლა არ მითხრა, ეგ შეღავათები მაგათზეც ვრცელდებოდაო...“

„მაგათზეც ვრცელდებოდა, ოღონდ ცოტა მოგვიანებით ანუ ჩვენ თუ სამი თვე გვაკვირდებოდნენ, მაგათ მინიმუმ, — ერთი წელი. ერთი წელი კი დარღვევის გარეშე ყოფნა ძნელია. ელემენტარულად, ოფიცერმაც ხომ იცის, რომ მოძალადე ხარ, არც იმას ევასები, რა. ამიტომ, ერთ დღეს დაგიწერს, რომ შეეპასუხე, ფსიქოლოგიურად არამდგრადი ხარ და ახლიდან იწყება ათვლა. რიგით პატიმრებზე კი ოფიცერი ამას, უბრალოდ, არ იზამს, არასოდეს იზამს“, — დაასრულა თხრობა ლექსომ.

ვერსიანიუსი

სამეგრელოში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის და სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1995 წელს დაბადებული ბექა ქ. და 1982 წელს დაბადებული მამუკა გ. ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი ჩხრეკისას, „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდით და 30 საბრძოლო ვაზნით, „ᲔᲦ-2003 ᲒᲗ“-ის მოდელის პისტოლეტი 1 მჭიდით და 6 საბრძოლო ვაზნით, 2 ნიღაბი, 4 წყვილი რეზინის ხელთათმანი და 1 შეკვრა წებოვანი ლენტი ამოიღეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით).

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის დანაყოფებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი გაიღეს

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად სისხლი გაიღეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები სისტემატურად მონაწილეობენ აქციაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ და საქართველოს ყველა რეგიონში, „სისხლის ბანკის“ დახმარებით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს რეგულარულად აბარებენ. სამინისტრო აღნიშნულ აქციაში უკვე მესამე წელია მონაწილეობს.

აქციაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტის შემცირება. საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობა მომავალშიც გაგრძელდება.

პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემისთვის ჩინეთისა და საქართველოს მოქალაქეები დააკავეს

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 2 მოქალაქე — 1974 წელს დაბადებული ციუფან ვ. და 1976 წელს დაბადებული შინლუნ ი, საქართველოს მოქალაქეები — 1972 წელს დაბადებული ნათელა ტ, 1967 წელს დაბადებული ნანა გ. და 1972 წელს დაბადებული იზაბელა ს. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები თბილისის სხვადასხვა უბანში, ჩინური მასაჟის სალონსა და სასტუმროში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ფართს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა მასაჟის სალონსა და სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

რა ჯდება და შეიძლება თუ არა „თალიზში“ თმის გადანერგვა განვადებით

ნათია აბაშიძე

„რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ!“ — ეს ვინმეს შესაძლოა, ემოციური გამონათქვამი ჰგონია, მაგრამ თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზთან“ მიმართებაში ემოცია არაფერ შუაშია. ყოველ შემთხვევაში, „თალიზი“, როგორც ჭეშმარიტად ქართული ბრენდი მთელ მსოფლიოში ცნობილია, კლინიკის ხელმძღვანელს, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორს, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ აკაკი წილოსანსაც ორივე ნახევარსფეროზე იდეალურად იცნობენ: თმის გადანერგვის ქართველი გურუ მასტერკლასებსა და თმის გადანერგვის პროცედურებს ხან აშშ-ში ატარებს, ხან — ევროპაში და ხანაც — აზიაში... ზოგისთვის თმის გადანერგვა, ალბათ, აუხდენელი ოცნებაა, რადგან თვლის, რომ ყველაფერი ეს კოლოსალურ თანხასთანაა დაკავშირებული, თუმცა ასე სულაც არ არის, მით უმეტეს, რომ „თალიზი“ პაციენტებს გადახდის მოსახერხებელ ფორმას, ანუ ორწლიან განვადებასაც სთავაზობს. გარდა ამისა, თმის გადანერგვის კლინიკაში გარკვეული ფასდათმობებიც მოქმედებს...

— თმის გადანერგვის პროცედურის ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი გრაფტი, ანუ ფოლიკულურული გაერთიანებაა, — **ამბობს თმის გადანერგვის ქართულ ბრენდ „თალიზის“ სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი აკაკი წილოსანი და იქვე განმარტავს,** — ერთი გრაფტი ერთი აუტოტრანსფლანტანტია, რომელიც თმის ერთიდან ოთხ ძირამდე შეიცავს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, თმის გადანერგვის პროცედურის ღირებულება გადანერგვის მასშტაბზეა დამოკიდებული, ანუ რამდენი ფოლიკულური, ესე იგი, თმის ძირის გაერთიანება გადაინერგება. ღირებულება გადანერგვის მეთოდზეცაა დამოკიდებული.

რაკიღა სიტყვა მეთოდზე ჩამოვარდა, ცხადია, ვინტერესდები, თმის გადანერგვის სულ რამდენი მეთოდი არსებობს. სამი, — მეუბნება აკაკი წილოსანი... ვიცი, თმის გურუს დრო ცოტა აქვს — მისაღებში პაციენტები ელოდებიან, მაგრამ მაინც, არ ვეშვები:

— მაინც, რა მეთოდებია?

— ე.წ. სტრიპ, ანუ FUT (ნაკერიანი) მეთოდი — ამ დროს კეფაზე დელიკატური, კოსმეტიკური ნაკერი კეთდება. ასევე, არსებობს უნაკერო, ანუ FUE და გრძელი თმის გადანერგვის მეთოდები.

— სამივე შემთხვევაში თმის გადანერგვა საიდან ხდება?

— კეფიდან.

— გრძელი თმის გადანერგვა რას ნიშნავს?

— რას და, თმის ძირები გრძელი თმით ინერგება და პაციენტი შედეგს პროცედურის დამთავრებისთანავე ხედავს. სხვათა შორის, ყველა მეთოდს თავისი პლუსი აქვს.

— აქედან ყველაზე ძვირადღირებული მეთოდი რომელია?

— ჩვენს კლინიკაში ნაკერიანი გადანერგვა, ანუ FUT მეთოდი ლარნახევარი ღირს, უნაკერო, ანუ FUE და გრძელი თმის გადანერგვა — ორლარნახევარი. სხვათა შორის, ეს ფასები წლებია არ შეცვლილა და გაზრდას არც მომავალში ვაპირებთ.

— გრძელი თმის გადანერგვა ძვირი რატომაა?

— იმიტომ, რომ ძალიან შრომატევადი ტექნიკაა.

— ფასი შედეგზეც აისახება?

— გრძელი თმის გადანერგვისას შედეგი, რასაკვირველია, უკეთესია, რადგან როგორც აღვნიშნე, პაციენტი შედეგს პროცედურის დამთავრებისთანავე ხედავს. FUE, ანუ უნაკერო მეთოდის უპირატესობა კი მხოლოდ ისაა, რომ კეფაზე ნაწიბური არ რჩება. ისე, ნაწიბური არც ნაკერიანი მეთოდის შემდეგაა შესამჩნევი, თუმცა თუკი პაციენტს დაჟინებული სურვილი აქვს, რომ ნაწიბური ოდნავადაც არ ემჩნეოდეს, ასეთ დროს უმჯობესია, თმა უნაკერო მეთოდით გადაინერგოს. არადა, თმის სიცოცხლისუნარიანობა, სიმართლე გითხრათ, ნაკერიანი და გრძელი თმის გადანერგვის მეთოდის დროს უკეთესია.

— ესე იგი, ბატონო აკაკი, თმის ნაკერიანი მეთოდით გადანერგვის დროსაც, კეფაზე ნაწიბური არ რჩება, არა?

— დიახ, არ რჩება, რადგან „თალიზში“ პლასტიკის უთანამედროვეს მეთოდებს ვიყენებთ და ნაწიბური, პრაქტიკულად, შეუმჩნეველია.

— პაციენტმა როგორ უნდა გაიგოს, რა თანხა, მაშასადამე, რამდენი გრაფტის გადანერგვა ესაჭიროება?

— ამისთვის კონსულტაციაზე „თალიზში“ უნდა მოვიდეს.

— კონსულტაცია ფასიანია?

— არა, უფასოა. საერთოდ, თმის გადანერგვის საშუალო ფასი 2-დან 5 ათას ლარამდე მერყეობს, თუმცა კლინიკას აქვს საშუალება, თმის გადანერგვის პროცედურა მნიშვნელოვანი, მაგალითად, 30-პროცენტიანი ფასდაკლებით გააკეთოს.

— „თალიზში“ თმის გადანერგვა განვადებითაც შეიძლება?

— დიახ, ჩვენთან უპროცენტო განვადება მოქმედებს.

— განვადება რამდენწლიანია?

— ერთი თვიდან 2 წლამდე, ანუ პაციენტს თვეში, საშუალოდ, 100 ლარზე მეტის გადახდა არ უწევს. მთავარია, ბანკში, ასე ვთქვათ, გაშავებული არ იყოს...

— ბატონო აკაკი, თმის გადანერგვის ზემოხსენებული სამი მეთოდიდან ყველაზე პოპულარული რომელია?

— ასე ვერ ვიტყვით, კლინიკას გააჩნია — ზოგი სტრიპზეა დახელოვნებული, ზოგიც უნაკერო ან გრძელი თმის გადანერგვაზე, თუმცა „თალიზი“ სამივე მეთოდით წარმატებით მუშაობს. სხვათა შორის, გრძელის თმის გადანერგვა უახლესი ბრაზილიური ტექნიკაა და აღმოსავლეთ ნახევარსფეროში „თალიზი“ პირველი კლინიკა იყო, რომელმაც თმის ამ მეთოდით გადანერგვა დაიწყო.

საერთოდ, უთანამედროვესი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის მიუხედავად, თმის გადანერგვა მაინც, ასე ვთქვათ, ხელით სამუშაოა.

— ანუ, თმის გადანერგვა სპეციალური აპარატითაცაა შესაძლებელი?

— კი, თუმცა რობორტი ძალიან სუსტად მუშაობს. ისე, ამ თემაზე სხვა დროს ვისაუბროთ...

— კეთილი... ბატონო აკაკი, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა საშუალო ფენის წარმომადგენელია. თქვენი საუბრით კი ვხვდები, რომ თმის გადანერგვა ფუფუნება არაა და ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ასეა?

— თმის გადანერგვა ერთი Ipone-ის ფასი ჯდება!

— კი ბატონო, მაგრამ Ipone გარანტირებული ბრენდია. იგივეს თქმა „თალიზზეც“ შეიძლება?

— პაციენტს გარანტიას ვაძლევთ — გადანერგილი თმა არასოდეს გასცვივდება! ზოგისთვის თმის ცვენა პრობლემაა, ზოგისთვის — არა. არადა, თმა ადამიანს ცვლის და აახალგაზრდავებს. შესაბამისად, თუკი ადამიანისთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვანია, თვეში 100 ლარს ნამდვილად გადადებს და თმას, სხვა თუ არაფერი, განვადებით გადაინერგავს. განა, არ ღირს, რომ ოცნებისთვის ხელფასის 10 პროცენტი გადავდოთ?! ამიტომაც, არ ვთვლი, რომ თმის გადანერგვა ფუფუნებაა!

მოკლედ, თმა თუ Ipone? — ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: რა თქმა უნდა, თმა! ჰოდა, ნუღარ აყოვნებთ, გეზი ტაშკენტის ქუჩის №27-სკენ აიღეთ და... გახსოვდეთ: თქვენი წარმატების გზა Ipone-ზე კი არა, „თალიზზე“ გადის!

ვართოვა

1. ხავერდის მსგავსი ქსოვილი
2. საზეიმო წვეულება
3. „თავისუფალი ლექსი“
4. მდინარე ციმბირში
5. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა
6. წმინდა მოგება ძიუდოში
7. ფეთქებადი ყუმბარა
8. სამაგიდო თამაში
9. კანის ქრონიკული დაავადება
10. სამოქალ. ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია
11. იგივეა, რაც სასულე
12. ანტიკური კოლონეთი
13. მკვახე ყურძენი
14. ტუზის ქართული სახელწოდ.
15. აბეზარი სარეველა მცენარე
16. მმართველ. ფორმა მეფის რუსეთში
17. მდიდარი ქალის სასტუმრო ოთახი
18. მითოლოგიური ძაფის პატრონი
19. ტიბეტური ხარი
20. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
21. ქანდაკების სახეობა
22. ცხენის კუდის ბეწვი
23. უსაფუძვლო ტრაბახი
24. აშშ-ის შტატი
25. ქალაქი გერმანიაში
26. ადოლფ ადანის ბალეტი
27. მიქელანჯელოს გვარი
28. ჩვილი ბავშვის საკვები
29. ღვინის დანალექი
30. მიმართვა გერმანელი ქალისადმი
31. მუშკეტერ არამისის მსახური
32. ოქროქსოვილი ხავერდი
33. ძვფრ. ხურდა
34. ობობა-მაიმუნი
35. ჩინური ტანვარჯიში
36. მრეცხავი „ვერის უბნის მელოდიებში“
37. დასტურის შეძახილი აშშ-ში
38. აღტაცების შეძახილი იაპონიაში
39. სახალხო კრება ძვ. საბერძ.
40. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
41. ათცენტიანი მონეტის სახელწოდება აშშ-ში
42. ტექნიკური ზეთი
43. ავღანეთის დედაქალაქი
44. იაპონური ზღმარტლი
45. ქართული ხოროთმოძღვრების ძეგლი ადიგენის რაიონში
46. სუსტი, ერთნახადი არაყი
47. ადამიანის ბიოველი
48. (ძვ.) ძვირფასი საჩუქარი
49. საეკლესიო ზეთი
50. ტრადიციული ინგლისური ლუდი
51. სასვენი ნიშანი
52. რძის პროდუქტი
53. ჯოყოლას ცოლი „სტუმარმასპინძელში“
54. ვიქტორიას ბერძენი „კოლეგა“
55. სოფელი ყაზბეგის რაიონში
56. ბაშკირეთის დედაქალაქი
57. ჩრდილოატლანტ. ხელშეკრულ. ორგანიზაცია
58. დიდი ესპანელი ფერმწერი
59. ლეგენდარული ინგლ. ფეხბურთელის პოლ გასკოინის მეტსახელი
60. კრემიანი ნამცხვარი
61. კინოლეგენდა ვივიენ ...
62. ტირიფის სახეობა
63. შხამიანი გომბეშო
64. გმირი არსენას გვარი
65. ბაში-აჩუკის ქუდი



1. ცხენის ჩლიქი
2. ინდოელთა საღვთო მცენარე
3. მაღალი პალმა გემრიელი ნაყოფით
4. კვების პროდუქტების შვეიცარული კომპანია
5. ორსულთა მძიმე დაავადება
6. მონღოლეთის ფულის ერთეული
7. მიწისქვეშეთის ერთ-ერთი მდინარე ბერძ. მით.
8. კომიკოსი ... ხვიჩია
9. პატარა წვრილი ძეხვი
10. ნაღვლიანი ლექსი
11. ტუჩებზე წასასმელი საცხი
12. ებრაელთა სულიერი მოძღვარი
13. ტეხასის შტატის დედაქალაქი
14. არქიტექტ. სტილი
15. სოფ. ნინოწმინდის რ-ში
16. რუსეთის მრისხანე მეფე
17. მომთაბარე ინდიელთა გადასატანი კარავი
18. ძვირფასმერქნიანი ხე, იგივე კოპიტი
19. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
20. გემის განივი კოჭი, რომელიც ბორტებს აერთებს
21. გრიშას გვარი „ჩე-მი ცოლის დაქალებში“
22. ენათმეცნ. ნაწილი, სწავლობს საკუთარ სახელებს
23. ავსტრიის ეროვნული ვალუტა
24. ჰოლივუდის მსახიობი
25. ისტორიის მუზა
26. დაბალი ხე ვერცხლისფერი ფოთლებით
27. ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე
28. მგალობ. ფრინველი
29. ჭადრაკის ფიგურა
30. თმის მცენარეული საღებავი
31. წიგნების დასაბეჭდი საწარმო
32. ინგლისის კუნძული ირლანდიის ზღვაში
33. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
34. ნორვეგიის დედაქალაქი
35. სახის მიმიკის სრული მოშლა
36. ცეცხლის მნათი ნაწილი
37. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
38. იაპონელთა ეროვნული სპორტი
39. საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შებმული
40. მოკლე სადღეგრძელო
41. იაპონიის ფულის ერთეული
42. დაბალზამეული გვამი
43. უეცარი შიში
44. ძოწების ჯგუფის მინერალი
45. წყლის ტრამვაი ვენეციაში
46. შლამის თევზი
47. დამარილებული და გამხმარი ხორცი
48. როკ-ენ-როლის მეფე ... პრესლი
49. საჭმელი სოკოს სახეობა
50. ძალიან მოკლე კაბა
51. მდინარე რუსეთში
52. კარგი ამინდი
53. ღვთაებრივი მხსნელი
54. ლოყის ზემო ნაწილი
55. ტროპიკული ხილი
56. გასულ წელს ანუ ...
57. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში
58. მუნჯი კინოს ვარსკვლავი პოლა ...
59. ნიგერიის ვალუტა
60. ტიბეტური ხარი
61. მართლმად. მამათა დიდი მონასტერი
62. სისხლის თხევადი ნაწილი
63. პატარა ბუტერ-ბროდი
64. მაფიოზური დაჯგუფება
65. უტოტო ხე
66. კატის ხმიანობა
67. რომის „ლაბადოსანი“ იმპერატორი
68. დედალი ჯიხვი
69. უმაღლესი სამხედრო წოდება
70. დაბადების მოწმობა
71. ფილიპინების სიდი-დით მეორე კუნძული
72. ზოლებიანი ცხოველი
73. კერძის მოსამზადებელი ჭურჭელი
74. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში
75. მაუგლის მეგობარი პითონი
76. ლეგენდ. ჩეხი ჰოკეისტი
77. თევზის ძვალი
78. მუხის ნაყოფი
79. მოცულობა კუბურ მეტრებში
80. სასიგნალო ტივტივა წყალზე
81. ხის ან ბუჩქის გამონაზარდი
82. პერსევსის დედა
83. წიწვოვანი ხე
84. ორგანული საწავი
85. წამლის ბურთულა
86. მამალი კვიცი
87. ვაზების მწკრივი ვენახში

26 დოლარად – მსოფლიოს გარშემო

მიკროჯოული — ეს განსაკუთრებით ეკონომიური ავტომობილია, რომელიც მინიმალურ საწვავს მოიხმარს და შეუძლია 2000 მილი (3300 კილომეტრი) გაიაროს ერთი ლიტრი ბენზინით. ეს სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენება, მაგრამ ფაქტია. სატრანსპორტო საშუალება ნახშირბოჭკოსგან მხოლოდ ერთ მგზავრს იტევს და ისიც დაწოლილ მდგომარეობაში უნდა იყოს. მაგრამ ეს არაფერია ეკონომიასთან შედარებით — 200 მილზე გადაადგილებას სულ რაღაც 20 ცენტად შეძლებთ. მიკროჯოული ფრანგი სტუდენტების ნახელავია ნანტის კოლეჯიდან. მათი მსუბუქი ტრანსპორტი (35 კილოგრამს იწონის) ევროპული კონკურსის გამარჯვებული გახდა. ჟიურიმ გამოგონება ნიდერლანდებში, როტერდამის ტრეკზე გამოსცადა. მათ გამოთვალეს, რომ ავტომობილი 3300 კილომეტრზე მხოლოდ ერთ ლიტრ საწვავს წვავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიკროჯოულით მსოფლიოს შემოვლა სულ 26 დოლარი დაჯდება. საწვავის მაღალი ეკონომიურობა ხახუნის დაბალი წინააღმდეგობისა და ძალიან დაბალი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის შედეგია. თუ ამ ავტოს ბორბლებს დაატრიალებთ, ის შეუჩერებლად გაივლის რამდენიმე კილომეტრს. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, თუ საწვავის ფასებს გავითვალისწინებთ, მიკროჯოულს დიდი მომავალი ექნება.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	8						9	
		6	9		5			
	2			6				7
							6	3
8	3		6		1		7	5
6	1							
5				7			8	
			3		8	2		
	9						5	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	4							8
	7			6		9		
	9	8	7	4				
		4	1			5	9	
	3	2			4	6		
				1	7	3	4	
		9		3			7	
7							5	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

				3				
					5		3	1
7			6			2		8
		7			9			4
	2	5		1		9	8	
6			8			3		
5		1			3			2
2	8		1					
				6				

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘ

5		4		1	3		6	
						4		
3		6						1
	6	5	8				1	
1		3		2		8		6
	2				6	3	5	
7						6		9
		9						
	1		3	6		7		5

ნაგვის გადამუშავებაში მატლებს დაიხმარენ

მეცნიერების ცოტა ხნის წინანდელ აღმოჩენას, შეუძლია, მსოფლიოში ნაგვის პრობლემა მოაგვაროს. მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ შავსხეულა მატლებსა და ფქვილის ჭიებს შეუძლიათ იარსებონ პენოპოლისტიროლისა და პოლისტიროლის სხვა ფორმების „დიეტაზე“. კვლევებისას, რომელსაც სტენფორდისა და ჩინეთის ნაციონალური უნივერსიტეტის სპეციალისტები ატარებდნენ, გაირკვა, რომ მიკროორგნიზმებს მატლების ნაწლავებში შეუძლიათ პენოპლასტის გადამუშავება. ამ პროცესში გამომუშავდება ნახშირმჟავა აირი და ნარჩენები, რომელიც, სწავლულების ვარაუდით, მცენარეებისთვის უსაფრთხო უნდა იყოს. ჩვენმა შედეგებმა ახალი კარი გაგვიღო, რათა მოვაგვაროთ პლასტმასით პლანეტის დაბინძურების გლობალური პრობლემა, — აცხადებენ კვლევის ავტორები. მათი თქმით, მატლები, რომლებიც მხოლოდ პლასტმასით იკვებებიან, არაფრით განსხვავდებიან „ნორმალური“ თანამომძეებისგან.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	2	9	7	8	6	5	4	3
8	5	4	3	2	1	9	7	6
3	7	6	5	9	4	2	8	1
2	9	1	8	7	3	6	5	4
7	6	5	4	1	9	3	2	8
4	3	8	6	5	2	7	1	9
9	4	7	2	6	8	1	3	5
5	1	3	9	4	7	8	6	2
6	8	2	1	3	5	4	9	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	4	1	3	6	7	5	2	9
3	2	9	5	4	1	8	7	6
7	6	5	2	9	8	3	4	1
6	5	4	1	3	2	9	8	7
2	8	3	9	7	6	4	1	5
1	9	7	8	5	4	2	6	3
5	1	8	7	2	3	6	9	4
4	3	2	6	1	9	7	5	8
9	7	6	4	8	5	1	3	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

5	4	3	6	2	1	9	7	8
2	7	1	5	9	8	6	4	3
9	8	6	7	4	3	2	5	1
1	3	4	9	8	7	5	2	6
8	2	9	4	6	5	3	1	7
7	6	5	3	1	2	8	9	4
6	1	8	2	7	9	4	3	5
4	5	2	1	3	6	7	8	9
3	9	7	8	5	4	1	6	2

ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘ

6	9	5	3	1	4	2	8	7
7	2	8	9	6	5	4	1	3
1	4	3	8	7	2	9	6	5
2	8	1	5	9	3	7	4	6
4	5	6	7	2	8	1	3	9
3	7	9	1	4	6	5	2	8
8	3	4	2	5	9	6	7	1
5	6	7	4	8	1	3	9	2
9	1	2	6	3	7	8	5	4

მე-9 გვერდი: 1. ვიტრინა; 2. ჰექტარი; 3. ვერდიქტი; 4. ტონა; 5. ივლისი; 6. ასკილი; 7. ჰომეოპათია; 8. ქაიხოსრო; 9. ანოა; 10. ირაო; 11. ლიე; 12. ევენკები; 13. ინკასო; 14. კულინარი; 15. ჰობოი; 16. ბადრაგი; 17. იტი; 18. აფორიზმი; 19. ირი; 20. ეაგრი; 21. არნო; 22. „ქვინი“; 23. ზვიადი; 24. პასტერი; 25. კრეტა; 26. ფლორია; 27. შეთე; 28. ადრიანე; 29. ინია; 30. აგა; 31. ვალსი; 32. შინშილა; 33. თანატოსი; 34. გოა; 35. გაერო; 36. რანჩო; 37. ნინევია; 38. ორთი; 39. ნიხრი; 40. ავრილ; 41. სპილო; 42. შვრია; 43. ძაგანია; 44. დაეი; 45. აბრა; 46. ადლი; 47. ლოა; 48. ალტაი; 49. ია; 50. უბე; 51. კრუხი; 52. ფინალი; 53. ლილა; 54. ოინი; 55. ჩარბი; 56. ოსლო; 57. სუფრა; 58. ნალი; 59. „ლელა“; 60. ცა; 61. დეილ; 62. ნაძვი; 63. კლეი; 64. ლოცია; 65. ხამსე; 66. ახო; 67. კოდი.

მე-12 გვერდი: 1. კენტუკი; 2. ევკომია; 3. ტალანტი; 4. კედი; 5. ვისკოზა; 6. იუპიტერი; 7. კოლოსი; 8. ზეტი; 9. აკოლადა; 10. ალდონსა; 11. ინანთეული; 12. სბირი; 13. ეპოლეტი; 14. იფიკლე; 15. ფრონტი; 16. ოკეი; 17. „ბენტლი“; 18. ფსიტი; 19. ამანი; 20. ტვიდი; 21. ნირვანა; 22. ლაურა; 23. დიამეტრი; 24. ოიდიუმი; 25. კორიფე; 26. „სადია“; 27. ურდული; 28. დავოსი; 29. მიულერი; 30. დღე; 31. „ცეზარი“; 32. თუნგი; 33. ეგიდა; 34. ვადუცი; 35. ვიკონტი; 36. ტილჭირი; 37. გიმელი; 38. ერბო; 39. სილეზია; 40. ლიტი; 41. დელი; 42. ვერსი; 43. წუა; 44. ედილი; 45. ფონ; 46. აია; 47. ამადუ; 48. ულანი; 49. აგა; 50. სკუფია; 51. ლალი; 52. ოინი; 53. ნუნა; 54. „წიქარა“; 55. ზაქი; 56. მორი; 57. ძნა; 58. ურდუ; 59. აზუა; 60. აკრი; 61. ასა; 62. ინია.

იაპონელებს უსწორმასწორო კბილები მოსწონთ

ტოკიოს ერთ-ერთი სტომატოლოგიური სალონი ადგილობრივ ახალგაზრდებში უზომოდ პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც რეკლამა გაუწია კოსმეტიკურ პროცედურას, რომლის დროსაც, ე.წ. ეშვებს აგრძელებენ და ამახვილებენ. შედეგად მიიღება დაგრეხილი კბილები, რასაც იაპონელები yaeba-ს უწოდებენ. დასავლეთში ასეთი კბილები ნაკლად მიიჩნევა, ამომავალი მზის ქვეყანაში კი — პირიქით, ულტრამოდურია. იაპონელებისთვის წინ გამოშვერილი და წამახვილებული კბილები ისეთივე მომხიბვლელია, როგორც ჩვენთვის ჭორფლი ან ჩაჩვრეტილი ლოყები. ეს სტომატოლოგიური პროცედურა განსაკუთრებით პოპულარული გოგონებშია. ზოგი ამბობს, რომ ასეთი გარდასახვის შემდეგ ისინი კატებს ემსგავსებიან და უფრო მიმზიდველები ხდებიან. სხვები კი ამბობენ, რომ ასეთი უმნიშვნელო დეფექტის გამო იაპონელი ლამაზმანები, იდეალური მოდელებისგან განსხვავებით, უფრო „ხელმისაწვდომები“ ჩანან. აღსანიშნავია, რომ ბევრ იაპონელ ცნობილ ადამიანს უსწორმასწორო კბილები აქვს. ნაცვლად იმისა, რომ ბრეკეტები გაიკეთონ, ისინი სიამაყით „გამოფენენ“ ხოლმე ამ ნაკლს და შედეგად უფრო პოპულარულები ხდებიან.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

„თვითმკვლელი“ მარიამის „შეტყობინება“ ანუ რატომ კლავს ღვთისმშობელი არდაბადებულ იესოს

ექსკლუზიური ინტერვიუ სკანდალური ნამუშევრების ავტორთან

ლია უკლება თვითნასწავლი ქუთაისელი მხატვარი და ძირითადად რელიგიურ, ჩაგრულ ჯგუფებსა და ფემინისტურ თემებზე მუშაობს. მისი ნამუშევრები სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში ხშირად იფინება, თუმცა ილიას უნივერსიტეტში ბოლო გამოფენას ყველაზე დიდი რეზონანსი მოჰყვა. „ღვთისმშობელი სათამაშო პისტოლეტით“ — ასე ჰქვია ნახატს, რომელმაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ნახატზე ორსულ ღვთისმშობელს სათამაშო იარაღი შუბლზე აქვს მიბჯენილი. სწორედ ამიტომ საზოგადოების ნაწილმა მხატვარი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. „ვერსია“ ლია უკლებას მაშინ შეხვდა, როცა სოციალურ ქსელში ნამუშევარს ფართოდ განიხილავდნენ და „თვითმკვლელი ღვთისმშობლის“ ავტორს, ლანძღვის გარდა, ქვეყნიდან გაძევებითაც ემუქრებოდნენ:

— დღეს ძალიან ვინერვიულე. ვცდილობ ხოლმე, უარყოფით დამოკიდებულებას ყურადღება არ მივაქციო, თუმცა ხალხის დღევანდელმა რეაქციამ მაინც იმოქმედა. სოციალურ ქსელში უამრავი შეტყობინება მივიღე — მლანძღავენ, ერთმანეთს ჩემი ჩაქოლვისა და ქვეყნიდან გაძევებისკენ მოუწოდებენ. ნამუშევრის ინსპირატორიც ეს ხალხი გახდა. სწორედ იმ ადამიანებს

მივუძღვენი ეს ნახატი, რომელსაც შეუძლია, ქრისტიანობის სახელით მოკლას, გაწიროს, უღალატოს და სხვა ბევრი ცოდვა ჩაიდინოს. „ადამიანებო, თქვენ ღმერთის ღირსი არ ხართ!“ — ამ ნახატში ღვთისმშობლის მთავარი „მესიჯი“ სწორედ ესაა.

— ასეთ რეაქციას ელოდით?

— რა თქმა უნდა, ველოდი, რომ ნახატს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვებოდა. ეს ნამუშევარი, დაახლოებით, სამი წლის წინ შევქმენი. მაშინაც დიდი რეზონანსი გამოიწვია, თუმცა ასეთი მასშტაბური არა. უფრო მეტად იმან გამაკვირვა, რომ ეს ხმაური ილიას უნივერსიტეტში ატყდა, სადაც ეს და კიდევ ხუთი ნამუშევარი სუბალტერნის თემაზე მიძღვნილი კონფერენციის ფარგლებში წარმოვადგინე. გამოფენა ერთდღიანი იყო, თუმცა რეაქცი ხუთი დღის შემდეგ მოჰყვა.

იცით, საინტერესო რა არის? — ერთ მათგანსაც, ვინც მაკრიტიკებს, არ უკითხავს, რამ მაიძულა ამის დახატვა, რატომ გადაწყვიტა მარიამმა „თვიმკვლელობა“. ამიტომ ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებინებს, რომ ჩვენი საზოგადოება ძალიან სწორხაზოვნად და ფასადურად აზროვნებს, არ უნდა, განსხვავებული აზრის გაგება და ზოგჯერ მინდა, მას ვუთხრა: იცი, რას ნიშნავს მეტაფორა? რადგან ადამიანებმა ამ ნამუშევარზე ფიქრი და მსჯელობა დაიწყეს, მგონია, რომ ნახატმა თავისი საქმე გააკეთა. ხშირად ვხატავ რელიგიურ თემატიკაზე. ერთ-ერთი ნამუშევარია „ტანგო“, სადაც მღვდელი და პოლიციელი ტანგოს ცეკვავენ. ნახატი 17 მაისს მივუძღვენი, როცა პოლიცია და ეკლესია შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

— ლია, არ ფიქრობ, რომ ვინმეს რელიგიური გრძნობები შეიძლება მართლაც შეურაცხყვე?

— არა, ასე საერთოდ არ ვფიქრობ. ჩემთვის ეს ნახატი ვინმეს შეურაცხყოფაზე უფრო „სევდიანი ამბავია“. ყველას ნამდვილ რწმენას პატივს ვცემ.

— შენს თითქმის ყველა ნახატზე ქალია...

— ფემინიზმი ჩემს ნახატებში წამყვანი თემაა. ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს „საკერავი და სხვა მანქანები“ ჰქვია. იგივე სახელწოდებით გაიმართა ჩემი პირველ პერსონალურ გამოფენაც თბილისში. საკერავი მანქანა ასოცირდება ქალთან, ასევე სხვა მანქანებიც — სარეცხის, ჭურჭლის, ყველაზე მეტად კი ქალებს ისეთ სისტემურ მანქანებთან უწევთ გამკლავება, როგორიცაა ჩვენს ქვეყანაში არსებული პატრიარქალური სისტემა, ეკლესია, სახელმწიფო და მთლიანად ჩვენი საზოგადოება. ასევე, ქალი ასოცირდება სექსუალურ ლტოლვასთან — კაცებისთვის ხშირად მხოლოდ „დასაკერი“ ობიექტია.

— 6 წელია, ხატვა დაიწყე. ფიქრობდი, რომ მანამდე მზად არ იყავი, ტაბუდადებულ თემებს შეხებოდი თუ ამის რამე სხვა მიზეზი აქვს?

— სულ სხვა მიზეზების გამო არ ვხატავდი. ტაბუდადებული თემების შეხება ჩემი თვითმიზანი არაა. მხოლოდ იმას ვხატავ, რასაც განვიცდი.

ბოლო ნამუშევარი რამდენიმე დღის წინ დაასრულა — ინდუსტრიული ქალაქის თავზე ეკლესია როგორც საბაგირო. ნამუშევარს სახელი ჯერ არ აქვს. რწმენაზე იშვიათად და ცოტას ლაპარაკობს. ამბობს, რომ სათქმელს საკუთარი ნახატებით უფრო უკეთ ამბობს, ვიდრე — სიტყვებით.

„ბავშვობაში დედა მეუბნებოდა, რომ ყველა სიტუაციაში იყო გამოსავალი, ადამიანს შეუძლია, ყველაფერი გამოუვიდეს და ამაში ღმერთი ეხმარება. ჩემთვის ღმერთი სწორედ ესაა — ირწმუნო საკუთარი თავის“, — ამბობს ქუთაისელი მხატვარი.

სხვათა შორის, ლია უკლებას ნამუშევარს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც გამოეხმაურა და საკვირაო ქადაგებისას განაცხადა: **„არის ერთი სამწუხარო ამბავი, წმინდა ილია მართლის უნივერსიტეტში არის გამოფენა, სადაც გამოსახულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, უჭირავს პისტოლეტი და თავს იკლავს. ეს არის შეურაცხყოფა ჩვენი სარწმუნოებისა და საქართველოსი. მე მიკვირს, როგორ დაუშვეს ასეთი მკრეხელობა რექტორმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. ასეთი შეურაცხყოფა ჯერ არ ყოფილა საქართველოში. საქართველო არის წილხვედრი ღვთისმშობლისა და იმედია, გამოსწორდებიან“.**